ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 48 (1477), პარასკევი, 26 ნოემბერი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა

სამოცი წლის წინათ, 1905 წლის ნოემბერში, ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", რომელშიც პროლეტარიატის დიდმა ბელადმა წამოაყენა და მეცნიერულად დაასაბუთა პარტიულობის პრინციპი ლიტერატურაში.

ლენინის ამ კლასიკური შრომის სამოცი წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ი. ანისიმოვმა. მოხსენება — „ვ. ი. ლენინის სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემები" — წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. ნ. შჩერბინამ, ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის მიხედვით პიროვნებისა და მასების პრობლემაზე ილაპარაკა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ვ. ელსბერგმა.

„მწერალი და თანამედროვე საზოგადოება" — ასეთი იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ი. ბორისოვის მოხსენების თემა. პარტიულობისა და მხატვრული შემოქმედების ლენინური კონცეფციის შესახებ ილაპარაკა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. კ. გეიმ.

„ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს გზეზე

საქართველოში „ვეფხისტყაოსნის" კიდევ ერთი ახალი თარგმანი ჩამოვიდა. თბილისში სტუმრად მყოფმა მონღოლეთის ლიტერატურული გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა ბადრა სამბუუმ საქართველოს მწერალთა კავშირის საჩუქრად გადასცა მიმდინარე წელს ულანბატორში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი". თარგმანი შესრულებულია ცნობილი ახალგაზრდა მონღოლი პოეტის დ. გომბოჯავის მიერ. წიგნი, რომელიც იხსნება რუსთაველისადმი მიძღვნილი პოეტ ბ. პერევ ლექსით, გაფორმებულია მხატვრული თავსართავებით და ბოლოსართავებით, ყდაზე მოთავსებულია ი. თოიძის ცნობილი ილუსტრაცია — ტარიელის ბრძოლა ვეფხვთან.



* * *

ამასწინათ ტაჯიკეთში შეიქმნა შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი ტაჯიკეთის სახალხო პოეტის, ლენინური პრემიის ლაურეატის მირზო თურსუნ-ზადეს თავმჯდომარეობით.

კომიტეტმა გადაწყვიტა საიუბილეო თარიღისათვის ტაჯიკ მკითხველს მშობლიურ ენაზე მისცეს „ვეფხისტყაოსნის" სრული თარგმანი. თარგმანზე მუშაობენ საუკეთესო პოეტი მთარგმნელები. მთარგმნელთა ჯგუფს ხელმძღვანელობს მუხიდან ამინ ზადე.

მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციებში

— ტაჯიკებს ერთი ანდაზა აქვთ — „უკეთესია დაინახო, ვიდრე მოუსმინო". მეგობრებო, ჩვენ გვახარებს თქვენი ნახვაც და მოსმენაც! — თქვა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ზარიპოვამ ტაჯიკეთში ბელორუსული ლიტერატურის დეკადის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე. ამ საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს მირზო თურსუნ-ზადემ და ივანე შამიაკინმა. ტაჯიკმა და ბელორუსმა პოეტებმა წაიკითხეს ლექსები. ასე დაიწყო ბელორუსული ლიტერატურის დეკადა ტაჯიკეთში.

* * *

22 ნოემბერს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში მოსკოველი მწერლები შეხვდნენ თავიანთ თანამოკალმეებს — ჩეჩენ და ინგუშ მწერლებს.

ჩეჩნური და ინგუშური ლიტერატურის დღეები პირველად ტარდება მოსკოვში. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარგზავნილები ესტუმრებიან მოსკოვის წარმოება-დაწესებულებებს, მონაწილეობას მიიღებენ მკითხველთა კონფერენციებში.

მთებში იბადება ზღვა

ნარკვევი

ზემო-სვანეთის ყარიბჭესთან განლაგებულია მუშათა საცხოვრებელი დაბა. მრავალსართულიანი სახლები სწორ მწკრივებად მიჰყვება ერთმანეთს, ზოგში დაწესებულებებია, ზოგში ენგურჰესის კაშხალის მშენებლები ცხოვრობენ. ულამაზესი ადგილია ჯვარში — უხვმცენარიანი და ანკარა წყაროებიანი, მარადმწვანე ტყეებით გარშემორტყმული.

ცად აწვდილ კლდეებში, ჯვარიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე, ჯამანაშის მთის ვიწროებში დღედაღამ გუგუნებენ ძრავები. არ წყდება აფეთქებათა ხმა. ოცდახუთტონიანი გიგანტური თვითმცლელები დინოზავრებივით მობობღავენ მთის ვიწრო გზებზე, გამოაქვთ გვირაბიდან გამოტანილი კლდე-ლორღი, მიაქვთ ბეტონი გვირაბის გასამაგრებლად.

სხვაგან ეს შეიძლება ჩვეულებრივ საქმედ მოეჩვენოს ადამიანს, მაგრამ აქ, სვანეთის მთების ძირში, ასეთი მოვლენა სასწაულივით განსაცვიფრებელია ყველასათვის, ვისაც ადრე უვლია ამ ადგილებში.

მე მომიხდა აქ ყოფნა ორმოცი წლის წინათ. ზუგდიდიდან დილით წამოვედით დილიჟანით და მზის ჩასვლის ჟამს ძლივს მოვაღწიეთ ჯვარს. საშინელი გზა იყო, ტალახიანი და წუმპეებნარევებით აღსავსე, უხიდო, ღელეებში ფონით გასავლელი. თვით ენგურზე, სადაც ახლა ახალი ფართო ხიდია აგებული, ბორანი იყო გაბმული და ზედ მიმავალ ადამიანს ჰამაკივით აქანავებდა. ავდარსა და ქარიანში გავლა სახიფათო იყო, ქარაშოტს შეეძლო ბორანიც მოესხლიტა და ადამიანიც გაეტაცა. ბორნის გასასვლელში მომცრო კარავი იდგა. შიგ მოხუცი კაცი იჯდა, ჯვარად ეკობია, ხიდის პატრონი ვარო, ამბობდა და ყველას ახდევინებდა ფულს. ტვირთით მიმავალი, რასაკვირველია მეტს იხდიდა. იმ დროს აქ ორი დუქანი ქონდა ორ მიკიტანს და ეს დუქნები მათზე მიშენებულ უბრალო ფიცრულ სადგომებით სასტუმროს მაგიერობასაც სწევდნენ. სასტუმრო კი საჭირო გახლდათ, სვანეთში წამსვლელებისათვის პირველი შესვენების ადგილი სოფელი ჯვარი იყო.

ჰესი გზით იწყება

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ასაგები ჰესიც ემორჩილება ძველისძველ კანონს — მასაც გზა ესაჭიროება, რომ მიხვიდე და მიუდგე. აქაურობას კი ყველაფერი ჰქონდა გზის გარდა. მშენებლებმაც აქედან დაიწყეს. ზუგდიდიდან რკინიგზის შტო გაიყვანეს სვანეთის მისადგომებამდე და ეხლა ტვირთზიდვა ჯვარამდე რკინიგზით ხორციელდება.

მთებში გაჩნდა ფართო გზების ახალი კილომეტრები.

მართალია, ძველი გზა არსებობს; მაგრამ კაშხალის აგების შემდეგ მას ენგურის წყალი დატბორავს. მთელი ხეობა, ჯამანაშის ვიწროებიდან მოყოლებული — ხაიშამდე, დაიფარება ხელოვნური ზღვით, რომელშიც მილიარდნახევარი კუბური მეტრი წყალი დაგროვდება.

სოფელი ხაიში კი, ნაწილობრივ გადაიქცევა, ის სულ მაღლა ზღვის პირად აღმოჩნდება და ტურისტებისათვის ერთერთი მიმზიდველი კუთხე იქნება.

კაშხალის მშენებლობის ადგილზე, კლდოვანი ქედის კიდეებივით ჩამოთლილ მაღალ ფერდზე, მომავალი ზღვისა და მისი ნაპირის მახლობლად, საგანგებოდ დაუტოვებიათ ერთი ტანშემართული ახალგაზრდა ხე. მშენებლები ამბობენ: ახალგაზრდობისას ენგურის თეთრქაფა ტალღებს გადმოსცქეროდა, დაბერდება და მისი გრძელი ჩრდილი ენგურის ზღვაზე დაეფინებაო.

მანამდე კი, ენგურს სწორედ იმ სანიშნო ხის მოპირდაპირე ნაპირზე გამავლებით უმზადებენ დროებით გვირაბს. ეს გვირაბი კალაპოტის გაზნექილ ნაწილშია გაჭრილი. ენგური ამ გვირაბით ასცდება კაშხალის მშენებლობის მოედანს და მას ქვემოთ კვლავ თავის ძველ კალაპოტში განაგრძობს დენას, კაშხალისა და სადერივაციო გვირაბის დამთავრებისას, როცა ენგურს ტურბინებისაკენ მიაქცევენ, ეს დროებითი გვირაბი საჭირო აღარ იქნება და საიმედოდ გადაიკეტება. მაგრამ ჯერჯერობით კი, ეს ყველაზე საჩქარო საქმეა, მის გარეშე შეუძლებელია კაშხალის მშენებლობის დაწყება. ამ გვირაბს დეკემბერში უპირებენ დამთავრებას.

კაშხალი

ეს არის ჰესის დასაწყისი, მისი მთავარი საფუძველი. ვინ იცის რანაირი კაშხალები არ აგებულა, მაგრამ ძიება მუდამ გრძელდება, ადამიანის აზრი ამ საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას ეძებს. მაგონდება ჯერ კიდევ 1933 წელს, მოსკოვში სასტუმრო „ევროპაში" ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს გატაცებით მოუთხრობდა ენგურზე დიდი ჰიდროელსადგურის შესაძლებელ მშენებლობაზე ამ საქმის ნამდვილი ხელოვანი, გამოჩენილი ჰიდროენერგომშენებელი ვლადიმერ ჯიქია, რომელიც საქართველოში ჰესების მშენებლობას ხელმძღვანელობდა და მივლინებით იმყოფებოდა მოსკოვში. იმ ხანად ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი მოსკოვში იყვნენ რომელიღაც ლიტერატურულ ღონისძიებასთან დაკავშირებით. ორივე პოეტი გატაცებით უსმენდა ჯიქიას, რომელიც საუბარში ხშირად ურევდა ტექნიკურ ტერმინოლოგიასაც მიმართავდა ხოლმე. ერთერთი ასეთი ტერმინი იყო, „თაღოვანი კაშხალი". პაოლოს თაღოვანი წარმოედგინა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ჯიქიას გაეღიმა, მაგრამ განმარტება ვერ მოასწრო, დაურეკეს; თათბირზე უძახდნენ და საჩქაროდ წავიდა.

და აი, მოულოდნელად აქ, სვანეთის ყარიბჭესთან კვლავ გავიგონე: თაღოვანი კაშხალი! ამჟამად ამ თაღოვანი კაშხალის მშენებლობისათვის მიმდინარეობს მზადება და მე გავეცანი ამ მშენებლობის უფროსს, ინჟინერ ნოდარ ქემხაძეს.

თურმე პირდაპირი კაშხალი დიდ ხარჯსა და საამშენებლო მასალას მოითხოვს, თაღოვანი კაშხალი კი, [illegible] ნაგებობაა, წინ გაწევდილი მკერდით ეხება მდინარეს და ტალღებს შუა სწყვეტს. ამოცანტილი წყალი ინერციით გასდევს ირიბად დაქანებულ კედელს და მთელი სიძლიერით მიეხლება ხეობის ხისმარებს — კლდეებს, რომლებსაც ეყრდნობა კაშხალის ორივე ფრთა. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ენგურზე აგებულ კაშხალს ორმაგი გაზნექილობა ექნება, მაშინ ადვილი წარმოსადგენი გახდება მდინარის დიდი სიმძლავრის ასეთი მოხერხებული გადანაწილება კაშხალის ცენტრიდან საყრდენ კლდეებზე.

არამც თუ საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც ამ ერთერთ უდიდეს კაშხალზე სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ზედმეტი არ იქნება ვთქვათ, რომ ამ სამასი მეტრის სიმაღლის ნაგებობას სხვა მასალების გარდა დასჭირდება ოთხმილიონამდე კუბომეტრი ბეტონი! ეს მოითხოვს გიგანტურ სატრანსპორტო საშუალებებს. ჯვარში მომქმედ ბეტონის ქარხნის გარდა, კაშხალის წამოსადგომზე აწყობენ სპეციალურ დანადგარებს, ვარაუდობენ მასალის მიწოდებას საბაგირო გზით.

აქვე ხეობაში, ენგურის მარჯვენა ნაპირზე მოთავსებულია მშენებლობის საკვლევი მეცნიერული ცენტრი. მის ზუსტ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული კაშხალისა და გვირაბების მშენებლობის მაღალი ხარისხი, სიმტკიცე და გამძლეობა. მშენებლები ამ მეცნიერულ ცენტრს „პოლიგონს" ეძახიან. და ეს „პოლიგონი" წარმატებით მონაწილეობს მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

„პოლიგონის" ტერიტორიასთან ენგურზე, პონტონებზე ტივტივებს მექანიზმებით აღჭურვილი რკინის ხორთუმიანი კონსტრუქცია.

ვირაჟი

ჯვართან, ჯამანაშის კლდოვან გულში ჩაუძვრა პირველი ელექტრომავალი და გვირაბის მშენებლებმა მოხაზეს ტრასა სადერივაციო გვირაბისათვის; რა შეიძლება ითქვას გვირაბის ტევადობაზე? მის ღრმულში სამსართულიანი სახლი დაეტევა. თოთხმეტსართულიანი სახლის მოცულობის მქონე უზარმაზარი სატურბინო დარბაზი მთლიანად კლდეში გამოიკვეთება. მასში, თითოეული 233,5 ათასი კილოვატი სიმძლავრის მქონე ექვსი ტურბინა განლაგდება. აქედან წყალი კვლავ მოწაისხმება გვირაბში მოხვდება და სოფელ საბერიოს ქვემოთ გადაეშვება ერისწყლის კალაპოტში.

ამით არ დასრულდება ენგურის ტალღების თავგადასავალი. სოფელ საბერიოს შემდეგ მას კვლავ შეაგუბებენ. ეს მეორე საგუბარი დაიტევს ასორმოცდაათი მილიონ კუბურ მეტრ წყალს და შეძლებს ამუშაოს გარკვეულ ინტერვალებით ერთიმეორის მიყოლებით აგებული ოთხი ეგრეთწოდებული „ვარდნილი ჰესი". ბოლოს, ელექტროსადგურების კასკადის გამოყენების შემდეგ, ენგური შეუერთდება შავ ზღვას, მაგრამ არა ჩვეულ ადგილზე, ზუგდიდის მახლობლად სოფელ ანაკლიასთან, არამედ სოფელ გუდავასთან, აფხაზეთში.

* * *

უნიკალურია ენგურჰესის მშენებლობა, გრანდიოზულია მშენებლობის პანორამა, მაგრამ უმთავრესი მაინც მისი მშენებლები არიან, ის ადამიანები, რომლებიც დღედაღამ დაუღალავად ებრძვიან კლდეებს, რომ 1968 წელს უზრუნველყონ პირველი დენის მიღება.

რა თქმა უნდა, აქ, როგორც ყველა დიდ თუ პატარა მშენებლობას ენგურჰესსაც აქვს თავის ყოველდღიურ ორგანიზაციულ და პრაქტიკულ მუშაობაში ბევრი „ვიწრო ადგილი", რომელიც მოითხოვს სწრაფ გამოსწორებას, მათ შესახებ ბევრი ითქვა ახლახან ჩატარებულ მშენებელთა პირველ პარტიულ კონფერენციაზე, ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მშენებლობაზე რადიკალური გარდატეხის მისაღწევად სულ ახლახან განახლებული იქნა ჰესის მშენებლობის ხელმძღვანელი აპარატი, რომელმაც დასახა კიდეც ზომები მშენებლობის ტემპების გასაძლიერებლად. მთავარი მაინც ის არის, რომ მშენებელთა ეს დიდი რაზმი მთელი შემართებით იბრძვის და იმორჩილებს კიდეც ზვიად მთებს.

აქ თითქმის უმეტესად ახალგაზრდობაა. ეს არ არის გასაკვირი, ენგურჰესი კომკავშირულ დამკვრელ მშენებლობად არის გამოცხადებული. ახალგაზრდები რომანტიკული გატაცებით აგრძელებენ დაწყებულ საქმეს. ბევრი არიან მშენებლობის ახალბედები, ვეტერანებიც მუშაობენ ბრატსკიდან, ასუანიდან, ხრამიდან. ჩემი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ლადაჩურიდან მოსულმა ბრიგადამ, რომელშიც თერთმეტი სვანია, თერთმეტივე ძმანი. მთის მშვილდები მხარში უდგანან ერთმანეთს და მთაზე მიიწევენ იერიშით.

ჰესის მშენებლობის მრავალათასიანი კოლექტივი ყოველდღიურად გმირულ შრომას ეწევა. საერთოდ, აქ ყველაფერი ენგურით სუნთქავს, ენგურზე იერიშით არის გამსჭვალული. მეც ენგურის გამო ვიმყოფები აქ. ამ ნარკვევს ენგურის ქალაქში ვწერ. ოდესღაც უცხოდ გაისმოდა: ენგურის ქალაქი! მაგრამ ჩვენმა დრომ რეალობად აქცია იგი. კიდევ რამდენიმე წელი და აღარც ჩვეულებრივად აჟღერდება: ენგურის ზღვა! ენგურის დენი!

დავით თაქთაქიშვილი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმში

რუსთაველის იუბილე აღინიშნება მსოფლიო მასშტაბით

ამ დღეებში ქალაქ სოფიაში მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა. საბოლოო სხდომამ მიიღო კომუნიკე, რომელშიც ლაპარაკია თანამედროვე ეტაპის აქტუალურ საკითხებზე.

სხდომის მონაწილეებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ მშვიდობის ჟოლიო-კიურის სახელობის ოქროს მედლებით დააჯილდოონ მშვიდობისათვის მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფები. დაჯილდოებულთა შორის არიან თვალსაჩინო პოლონელი მოღვაწე ოსკარ ლანგე (სიკვდილის შემდეგ), ჯეიმს ენდიკოტი (კანადა), მარტინ ნიმელერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა (სსრ კავშირი) და სხვები.

გადაწყდა, რომ 1966 წელს აღინიშნოს ღირსშესანიშნავი თარიღები, რომლებიც დაკავშირებულია მიგელ სერვანტესის, რომენ როლანის, გოტფრიდ ლაიბნიცის, შოთა რუსთაველის, სუნიატ-სენისა და სხვათა სახელებთან.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუციები ვიეტნამის, სამხრეთ როდეზიის, ადენის, ევროპის უშიშროების შესახებ, მიმართვა მშვიდობის მომხრეებისადმი და სხვა დოკუმენტები.

ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან და გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების სამოცდაათ წლისთავს.

გისურვებთ, ძვირფასო ანასტას ივანეს-ძევ, დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის
მინისტრთა
საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ა. ი. მიქოიანის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად, დაჯილდოვდეს ამხანაგი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
ი. ნასრიდინოვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 ნოემბერი.

ასი წლის თეატრი

გორის თეატრი თავის წლოვანებას 1865 წლიდან ითვლის. სწორედ ამ წლის ივლისში დაიდგა გიორგი ერისთავის კომედია „ძუნწი". ამ დღიდან დაედო სათავე გორის სცენისმოყვარეთა საჯარო წარმოდგენებს. ცნობა ამ პირველ წარმოდგენაზე გამოქვეყნებულია ჟურნალ „ცისკარში", სხვათაშორის იქვე აღნიშნულია, რომ იმ დროს გორში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებულა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო გორში ამ წარმოდგენის გამართვის ფაქტი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სამოციან წლებში საქართველოში არც თუ ხშირი იყო წარმოდგენები. 1856 წლიდან, როცა არსებობა შეწყვიტა გიორგი ერისთავის თეატრმა, 1866 წლამდე, ე. ი. ათი წლის განმავლობაში, საქართველოში მხოლოდ თერთმეტი წარმოდგენა გაიმართა, სახელდობრ: ექვსი თბილისში, სამი ქუთაისში, ერთი ხონში და ერთიც გორში.

გორელთა პირველ წარმოდგენას სამოციან და სამოცდაათიან წლებში მთელი რიგი წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები მოჰყვა. იდგმებოდა უმთავრესად გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის კომედიები.

სამოცდაათიან წლებში გორში საცეკვაო საღამოებისათვის აგებული იქნა დარბაზი, ეგრეთწოდებული „როტონდა". ეს იყო ყავრით გადახურული ხის მრგვალი შენობა. ამ დარბაზში მართავდა წარმოდგენებს სცენის მოყვარეთა წრე, რომელშიც მონაწილეობდნენ ხალხოსანთა არალეგალური ორგანიზაციის წევრები სოფრომ მგალობლიშვილის მეთაურობით. გორის თეატრს დიდი ღვაწლი დასდეს ქართველმა ხალხოსნებმა შიო დავითაშვილმა, მიხო ყიფიანმა, მწერლებმა ნიკო ლომოურმა, ნიკო შიუკაშვილმა და სხვ. 1875 წელს გორში პირველად გამოვიდა სცენაზე ნიჭიერი მსახიობი ქალი ნატო გაბუნია.

იმავე დროს გორში ხშირად ჩამოდიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ სცენის ცნობილი ოსტატები. გორელები მოწმენი ყოფილან ლადო მესხიშვილის აღგზნებული თამაშისა ვ. მონტის „კაი გრაკხში". გორს მრავალჯერ სტუმრობდნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, გიორგი არაბულ-იმნაძე და მრავალი სხვანი.

1909 წელს ახალგაზრდა მსახიობების ვიქტორ მატარაძისა და იოსებ ქუჩიძის დახმარებითა და გორის [illegible] მონაწილეობით გორში სახალხო თეატრიც გაიხსნა. ამ თეატრმა ერთ წელს იარსება.

1920 წელს გორში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. დაინგრა თითქმის ყველა ხეირიანი შენობა. მათ შორის თეატრის შენობაც. გადარჩა მხოლოდ სახაფხულო შენობა ქალაქის ბაღში.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაიბარა მიწისძვრისაგან დანგრეული გორი — ამ სიტყვის მთელი მნიშვნელობით. ასეთ გარემოებაში, ცხადია, წარმოდგენების მართვაზე ფიქრი იყო ფუჭი. მაგრამ 1922 წელს მაინც შეიკრიბა პატარა დრამატული წრე და შეუდგა საქმეს.

ზამთრის სათეატრო შენობა ქალაქში არ იყო და დრამატულ წრეს ძალიან უჭირდა მუშაობა.

1922-1923 წლებში გორის სამაზრო აღმასკომში ვმუშაობდი. აღმასკომმა დაადგინა სახალხო სახლის მოწყობა და ამ საკითხის მოგვარება დამევალა მე, როგორც განათლების განყოფილების გამგეს.

ლენინის ქუჩაზე შევარჩიე ერთი ნახევრად დანგრეული შენობა, რომელშიც ადრე გიმნაზია იყო. შენობას მოვარგეთ მეორე სართულის ნანგრევები, გადავხურეთ, შევაკეთეთ და სცენაც მოვაწყეთ. ამ სამუშაოების შესასრულებლად მაშათობები ეწყობოდა მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. სახალხო სახლის გამგედ დაინიშნა ნიკო ბადრიაშვილი (შემდგომ თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი).

სახალხო სახლის საზეიმო გახსნისათვის სცენისმოყვარეთა წრემ, რომელსაც სტეფანე გოლქეროვი ხელმძღვანელობდა, მოამზადა და წარმოადგინა ჩემი ავტ-სატირული მუსიკალური კომედია „მეზიდეები პარიზში".

გორის დრამატული წრე ამ დროიდან უკვე რეგულარულად მუშაობდა. წრის ხელმძღვანელად მუდამ იწვევდნენ გამოცდილ მსახიობ-რეჟისორებს. 1923 წლის შემოდგომიდან წრის ხელმძღვანელად მიწვეული იყო ა. ჯაყელი, შემდეგ კი — დ. აბდუშელი, დ. ჩარკვიანი, ზ. გოშილაური, მ. ხერხეულიძე. 1933-1934 წლების სათეატრო სეზონში, გორის დრამატული წრის ხელმძღვანელად მიწვეული იყო მსახიობი და რეჟისორი ა. ალანინაშვილი. მან აღძრა საკითხი, რომ შექმნილიყო პროფესიული დასი. ასეთი დასის შესაქმნელად გორში უკვე არსებობდა ნიადაგი; საკმაო სამსახიობო ძალები, კარგი მაყურებელი. ეს საკითხი გორის ქალაქის აღმასკომმა განიხილა და მისი დადგენილებით 1934 წლის შემოდგომიდან შეიქმნა პროფესიული დასი. აღმასკომმა დასის შესანახად და თეატრის სხვა ხარჯებისათვის საჭირო თანხაც გაიღო. დასში შევიდნენ ადგილობრივი სცენისმოყვარენი მ. ბახტაძე, ს. გრიქუროვი, ე. კახნიაშვილი და სხვანი. გარდა ამისა, მიწვეულ იქნენ მსახიობი ქალები ნ. [illegible], ს. ჩიხლაძე და ა. გაჩეჩილაძე.

პროფესიული თეატრის ამ პირველ სეზონში წარმოდგენილი იყო თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები — ა. აფინოგენოვის „[illegible]", ბ. ლავრენიოვის „რღვევა", ს. [illegible] და სხვ. დადგმული იყო აგრეთვე ადგილობრივი ავტორის, ძველი ბოლშევიკის ალექსანდრე ცაბაძის რევოლუციური შინაარსის პიესა „წარსულის აჩრდილი".

სახალხო სახლის არსებული შენობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. 1934 წელს დაიწყო თეატრის ახალი შენობის აგება. თეატრის ახალ შენობაში პირველი წარმოდგენა გაიმართა 1940 წლის 30 იანვარს.

ახლა კი გორს უკვე აღარ შეეფერებოდა სეზონური დასების ყოლა და ამიტომ 1939 წელს შეიქმნა მუდმივი დასი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი რეჟისორი და მსახიობი ვალია ფრანგიშვილი. დასში შევიდნენ როგორც გორში მცხოვრები, ისე სხვა და სხვა ქალაქებიდან მოწვეული მსახიობები.

ახალ შენობაში პირველი სეზონის გახსნისას, 1940 წლის 30 იანვარს, წარმოდგენილი იყო იოსებ გედევანიშვილის დრამა „გადასახლებულნი", რომელიც ასახავს ქართლის გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას 1905 წელს. პიესა საგანგებოდ იყო დაწერილი ამ დღისათვის. დადგმა ეკუთვნოდა ვ. ფრანგიშვილს, მხატვრობა — კ. ქირიზანაშვილს, მუსიკა — ა. მაჭავარიანს.

გორის თეატრმა ამ დროიდან ოცდაექვსი სათეატრო სეზონი ჩაატარა, და თავისი მოღვაწეობით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ თეატრთა შორის. [illegible] ქართული თეატრის რეპერტუარში [illegible] თანამედროვე [illegible] ქართული დრამატურგია [illegible]. იყო არა ერთი შემთხვევა, როცა ახალი პიესა პირველად გორის თეატრში დაიდგა და შემდეგ გადაიტანეს სხვა ქართულ თეატრებში.

გორის თეატრის წარმატების საწინდარია ის თავდადებული მოღვაწეობა, რომელსაც იჩენდნენ და იჩენენ თეატრის შემოქმედებითი ძალები.

ვალია ფრანგიშვილის შემდეგ, რომელიც 1948 წელს ისევ ჭიათურის თეატრში დაბრუნდა, ოთხი სეზონის განმავლობაში თეატრს ხელმძღვანელობდა ცნობილი რეჟისორი ვასო უშიტაშვილი. შემდეგ წლებში სხვა დასხვა დროს თეატრის მთავარ რეჟისორებად იყვნენ გრიგოლ ლოლაძე, სიკო ჩანანაძე, თენგიზ ლორთქიფანიძე, [illegible] და [illegible]. 1961 წლიდან თეატრის მთავარი რეჟისორია გიორგი აბრამაშვილი. მთელი რიგი რეჟისორები მუშაობდნენ გორში რეჟისორ-დამდგმელებად, მათ შორის თ. ალექსიშვილი, ო. ანდრონიკაშვილი, ი. კაკულია, გ. ლორთქიფანიძე, ა. მაღლაკელიძე, ე. მაღლაფერიძე, ვ. მოდებაძე, გ. სებისკვერაძე, გ. ფეშლია და სხვანი. ამჟამად რეჟისორ-დამდგმელებად მუშაობენ ნ. დემეტრაშვილი და დ. ცისკარიშვილი.

თეატრის მსახიობებმა შექმნეს არა ერთი დაუვიწყარი სცენური სახე. გვინდა ზემოთ ხსენებულ მსახიობებისა, რომლებიც 1939 წლიდან ამშვენებენ გორის თეატრის დასს, თეატრში ამ ოცდაექვსი წლის მანძილზე მრავალი მსახიობი მუშაობდა და მუშაობს. ესენი არიან ქალები — თ. აბაშიძე, ქ. ბოჭორიშვილი, მ. ბუხრაძე, რ. გოგებაშვილი, თ. ერისთავი, ნ. ვაშაკიძე, ნ. ზალდასტანიშვილი, ა. იელიდი, ქ. ტბილამშვილი, ო. ლორთქიფანიძე, ნ. ძაქვაროვანი, ქ. მოცაქტლიშვილი, მ. ნიხაძე, ნ. სალუქვაძე, ნ. სალარაძე, ფ. ფილარიანი, ც. ცაბაძე, ნ. ჭანტურია; ვაჟები — გ. არაბულიშვილი, ლ. არსოშვილი, გ. ზასიაშვილი, მ. ბელიაშვილი, გ. გაბისონი, ს. გოგრჩიაშვილი, ა. გოგიაშვილი, ო. დათუნაშვილი, თ. დელიშვილი, გ. დენისაშვილი, მ. თავზარაშვილი, მ. თეთრიშვილი, ა. იმერლიშვილი, გ. კაცბაძე, შ. კაცბაძე, ო. ლომიძე, გ. მარსაგიშვილი, ი. მერაბოვი, რ. მაჩიტიძელი, ვ. მაზანიშვილი, გ. ნადირაშვილი (ახლა თეატრის დირექტორი), ლ. ოზგუბაშვილი, ი. ოსიაძე, ზ. ოქროპირიძე, ს. ტატიშვილი, გ. ღონღაძე, შ. ჩერქეზიშვილი, ა. ნოდელელი, ვ. ლოლუაშვილი, ვ. ცხვარიაშვილი, შ. ხაჯალია, ე. ხუბაიერიძე, [illegible] და სხვანი.

გორი, თავისი თეატრის არსებობის ასი წლისთავზე, [illegible] პატარა პროვინციულ ქალაქს, დღეს იგი თავისი 40 ათასი მცხოვრებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქია, ხოლო მისი თეატრი რომელიც [illegible] ქართული თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის სახელს, ჩვენი თეატრალური ხელოვნების [illegible].

გ. ბუხნიკაშვილი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

კინემატოგრაფისტთა პირველი ყრილობა

23 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს ექვსასზე მეტი დელეგატი და მრავალი სტუმარი.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა კინომუშაკმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ლ. ვ. კულეშოვმა.

შეკრებილებმა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. დემიჩევს, ი. ვ. ანდროპოვს, როცა ისინი ყრილობის სხდომაზე მოვიდნენ.

ყრილობა ოთხ დღეს გასტანს. მის დღის წესრიგშია სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ლ. ა. კულიჯანოვის მოხსენება „კომუნისტური მშენებლობა და საბჭოთა კინემატოგრაფიის ამოცანები", საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. ვ. კარაგანოვის მოხსენება სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წესდების შესახებ, კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დელეგატები და სტუმრები მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ყრილობისადმი, რომელიც წაიკითხა ამხ. პ. ნ. დემიჩევმა.

ა. კულიჯანოვისა და ა. კარაგანოვის მოხსენებების შემდეგ დაიწყო კამათი.

ზეიმი პოეტის უკვდავებისა

მთელმა საქართველომ აღნიშნა ქართველი ხალხის გენიალური შვილის, უკვდავი აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავი.

ზეიმი საჩხერეში დაიწყო.

დღის პირველ საათზე საჩხერის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე თეთრ საბურველში მოფარებული ძეგლის ირგვლივ თავი მოიყარეს საჩხერის მშრომელებმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, ქართველმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა.

დიდი პოეტის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საჩხერის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შ. ქიღლაძემ და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა.

ნელნელა ჩამოცურდა თეთრი საბურველი. გამოჩნდა დიდი პოეტის შთაგონებული სახე. (ძეგლის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი ვ. თოფურიძე, არქიტექტორი — კ. ჩხეიძე)

გზა სხვიტორისაკენ — აკაკის სახლმუზეუმისაკენ მიდის. აქ ჩამოსულან საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან — აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან. სახლმუზეუმის ტერიტორია ხალხს ვეღარ იტევს. გაისმის აკაკის ლექსებზე დაწერილი სიმღერების მელოდიები — ქართულ, რუსულ, უკრაინულ ენებზე.

იწყება მიტინგი, რომელსაც ხსნის საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი პ. ნოზაძე. ქართველი ხალხის სასიქადულო შვილის აკაკი წერეთლის იუბილეს საჩხერის რაიონის მკვიდრნი განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ, — ამბობს იგი, — ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენს მიწაზე დაიბადა და აღიზარდა დიდი პოეტი, რომელმაც მთელი ცხოვრება და შემოქმედება თავისი ხალხის სამსახურსა და მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას მიუძღვნა.

სიტყვა საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით წარმოთქვა პოეტმა კარლო კალაძემ. თავისი სიტყვა მან აკაკისადმი მიძღვნილი ლექსით დაამთავრა.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი დ. ანთაძე, კრიტიკოსი ვ. ზამბახიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი დ. კვიცარიძე, საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის გამგე ლ. პარკაძე, კომკავშირის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ე. ბერიძე, დიასახლისი ნ. მაჭავარიანი.

აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ნ. შამანაძემ, ა. ონიანმა, სახალხო მთქმელმა ს. ჩანგაშვილმა, ელ. ყურაშვილმა, მასწავლებლებმა ელ. აბაშიძემ, რ. დეკანოიძემ და სხვ.

დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა.

ჭიათურის მაღაროელებმა აკაკის სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ფერადი მინის მოზაიკით შესრულებული შესანიშნავი სურათი, რომლისთვისაც მხატვარს ოთარ ცერცვაძეს „იავნანა" უწოდებია.

მიტინგი დამთავრდა. მაგრამ გრძელდებოდა ზეიმი პოეზიისა. გვიან ღამემდე ისმოდა აკაკის ლექსებზე შექმნილი მელოდიების ჰანგები.

მეორე დღეს, 22 ნოემბერს სხვიტორში გაიმართა აკაკის სახლმუზეუმის სამეცნიერო საბჭოს საიუბილეო სესია.

სესიამ მოისმინა მოხსენებები პროფესორ ვლ. ზამბახიძისა — „აკაკი და ახალგაზრდობა," ჟურნალ „ხელოვნების" რედაქტორ ო. ეგაძისა — „აკაკი წერეთელი სახვით ხელოვნებაში", ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მუსიკათმცოდნე პ. ხუჭუასი — „აკაკი წერეთელი ქართულ მუსიკაში", თეატრმცოდნე ს. გერსამიასი — „აკაკი და ქართული თეატრი" და დოცენტ აკ. ქუთელიასი — „აკაკი წერეთლის ფილოსოფიურ-პოლიტიკური შეხედულებები".

• • •

23 ნოემბერს მთაწმინდაზე, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, აკაკი წერეთლის საფლავთან თავი მოიყარეს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, მეცნიერებმა, სტუდენტებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დიდი პოეტის ხსოვნას. აკაკი წერეთლის საფლავი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს მწერლებმა ს. ჭილაიამ, ბ. ჟღენტმა, ა. მირცხულავამ, მ. ბარათაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ვ. ზამბახიძემ, პროფესორებმა კ. კეკელიძემ და გ. აბზიანიძემ. მოსწავლეებმა წაიკითხეს აკაკის ლექსები.

ამავე დღეს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

მოხსენება აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა საქართველოს სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

აკაკი წერეთელი ქართული კლასიკური მწერლობის სიამაყეა, — ამბობს მომხსენებელი, — იგი ფუძემდებელია ახალი ქართული ლიტერატურისა — ქართული კლასიკური რეალიზმისა, იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უმღეროდა სამშობლოს განთავისუფლებას, გამოხატავდა ხალხის უწმინდეს აზრებსა და გრძნობებს, მის ნათელ მისწრაფებებს. დიდი მგოსნის უკვდავი შემოქმედება იცოცხლებს სანამ ქართველი ხალხი იარსებებს.

სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ი. თარბამ, საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ნოზაძემ.

პოეტებმა მ. ბარათაშვილმა, ხ. ბერულავამ, შ. ლებანიძემ, ი. ნონეშვილმა წაიკითხეს ა. წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები გ. ს. ძოწენიძე, გ. ი. ჩოგოვაძე.

• • •

ქუთაისში საღამო, რომელიც გაიმართა ქუთაისის ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლში, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა დ. კვიცარიძემ. მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ქ. მეძველიამ. სიტყვები წარმოთქვეს დოცენტმა მ. ალავიძემ, მასწავლებელმა ნ. პაპავაშვილმა, მოსწავლე გ. პაპავამ და სტუდენტმა ც. ცირამუამ. აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გ. სამხარაძემ, რ. ბერიძემ, დ. ხუროძემ. აკაკის „მთაწმინდა" წაიკითხა სსრკ სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ.

დასასრულ ნაჩვენები იქნა კინოფილმები „აკაკის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში" და „აკაკი წერეთელი".

• • •

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანმა, პოეტმა ფრ. ხალვაშმა. აკ. წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა შ. ნიჟარაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ნ. ასანიძე, ლ. რუხაძე, ნ. კალინინა და სხვ. დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ნ. მალაზონიამ, შ. ვარშანიძემ, ი. მელიამ და ც. ანთაძემ.

აკაკი წერეთლის უცნობი ლექსები

აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაზე მუშაობისას წავაწყდით ზოგიერთ ლექსს, რომლებიც ჯერ არსად არ არის გამოქვეყნებული.

სხვიტორის სახლმუზეუმის ფონდში დაცულია პატარა ზომის ორ ფურცელზე დაწერილი სამსტროფიანი ლექსი „საჩუქარი" (მიძღვნილი ბევან წერეთლის ასულ ივლიტასადმი).

ავტოგრაფი უთარიღოა, — დაწერილი უნდა იყოს 1896 წლის 7 მარტს ან მის მომდევნო უახლოეს დღეებში. აი ეს ლექსი:

იხარე ანგელოსთ გუნდში
ვარსკვლავო მოსხივ-ცისკარე!
ლიტანიობდე ამიერ
ეთერზე ფრთეთ-მოელვარე!
წახველ უდროოდ ამ სოფლით
ვითა ნორჩი ყვავილი,
რომ შენი ხსოვნა შენ მშობლებს
ეკლად დაესოს მწარ-ტკბილი.
თანამავალი ვარსკვლავთა
ელვარებითა დიდებით!...
ლიტანიობით ცის გუნდში
იმხიარულე!... მშვიდობით!
აკაკი

ლექსის ბოლოს აკაკის ხელით მიწერილია: „თ—დ ბევან დავითის ძის წერეთლისა და მისი მეუღლის ასული დაიბადა 9 დეკემბერს 1885 წ. მიიცვალა 7 მარტს 1896 წ."

აკაკი წერეთელი დიდი მეგობარი იყო ბევან და ნიცა წერეთლებისა. პოეტს ძლიერ უყვარდა მათი შვილები. „ძალიან მეგობრულად იყვნენ აკაკი და ჩემი შვილები. ლექსებიც დაუწერა, მაგრამ ის ლექსებიც დაიკარგა" გადმოგვცემს თავის მოგონებაში ნიცა წერეთელი (იხ. „ლიტერატურული მატიანე", № 3-4, გვ. 135).

1901 წლის 19 იანვარს ბევან და ნიცა წერეთლებს დაეღუპათ მეორე შვილიც — ალექსანდრე. აკაკის მის გარდაცვალებაზეც დაუწერია ლექსი, რომელიც წარწერილია წერეთლების საგვარეულო ეკლესიის ეზოში სოფელ-დუნთაში საფლავის ქვაზე. ამ ხუთსტროფიანი ლექსის ბოლოში მიწერილია: აკაკი.

ლექსის სრული ტექსტია:

ნუღარ მიტირებს დედ-მამა,
თვის ბედსა დაემორჩილნენ.
ვინც დარჩნენ მათი ნუგეშით
იცოცხლონ მრავალჟამიერ.
უცრემლოთ გულდინჯურათა
იტვირთონ დანაკარგები,
მეც და ჩემს დასა ლიტასა
საფლავს გვიფინონ ვარდები.
მშობლების გულში აღმენთო
გახდა ცეცხლისა მწველისა:
მოვწყდი ამ სოფელს უდროოდ,
ვითა ყვავილი ველისა.
ანგელოსთ გუნდსა მივმართე
იქ დამხვდა ლიტა ელვარე
და მაღლით ერთად ორივე
ვართ ქვეყნის მოსხივ-ცისკარე.
რომ თან გადმოჰყვეს ჩვენს სხივებს
ძალი და მადლი ზეცისა,
გასაქარვებლად ქვეყნიურ
ჭირისა მრავალ კაცისა.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის უკანასკნელი სამი სტროფის ავტოგრაფი აღმოჩნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (იხ. აკაკის ფონდი № 33).

აკაკიმ ლექსი მიუძღვნა აგრეთვე შვილების გარდაცვალების გამო დამწუხრებულ დედას ნიცა წერეთელს. („საყვარელ ნათლიდედას ნიცას". იხ. თხზ. ტ. 2, გვ. 405, 538). ეს ლექსი ემთხვევა მასზე ადრე დაწერილ ზემოთ მოტანილ ეპიტაფიებს; დაწერილია ნიცას შვილის — ალექსანდრეს გარდაცვალების მერე, 1901 წლის 19 იანვრის შემდეგ და არა 1898 წელს, როგორც ეს აღნიშნულია ხსენებულ ტომში (გვ. 404). ნიცასადმი აგრეთვე მიძღვნილი აკაკის ლექსი „შვილის დაკარგვა ორისულ დედას (ნიცას)".

საჩხერის რაიონის სოფ. ჭალის ეკლესიის ეზოში, ლენტორ სვიმონის ძე აბაშიძის საფლავის ქვაზე ვნახეთ აგრეთვე ლექსი-აკროსტიხი „გამოსათხოვარი".

სოფელ ჭალაში მცხოვრებ აბაშიძეების ერთ-ერთ ოჯახში 82 წლის მოხუცმა ქალმა ბაბო დავითის ასულმა აბაშიძემ (განსვენებულ ლენტორის ძმის — პავლე სვიმონის ძე აბაშიძის მეუღლემ) გვითხრა, რომ აკაკი იყო ლენტორ სვიმონის ძე აბაშიძის ნათლია; მონათლული ჰყავდა მისი ვაჟი ალექსანდრე, რომელიც ადრე გარდაიცვალა. მისივე გადმოცემით, აკაკი ხშირად ყოფილა სტუმრად სოფელ ჭალაში აბაშიძეების ოჯახში.

1905 წლის სექტემბერს აკაკი ლენტორის დაკრძალვას დასწრებია და სიტყვაც წარმოუთქვამს. აკაკის ლენტორის მეუღლის დარიკო კიკნაძის გასაგონებლადაც უთქვამს სიტყვა.

ბაბო აბაშიძემ დამაჯერებლად გვითხრა, რომ ლენტორ აბაშიძის საფლავის ქვაზე წარწერილი ლექსი-აკროსტიხი „გამოსათხოვარი" აკაკიმ დაწერა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში მივაკვლიეთ პოეტის აღნიშნული აკროსტიხის ავტოგრაფს სათაურით „ლენტორ აბაშიძის საფლავზე „აკროსტიხი". (იხ. № 1/3). საფლავის ქვიდან გადმოწერილი „გამოსათხოვარი" მთლიანად ემთხვევა პოეტის ავტოგრაფს.

ღმერთო მაღალო შენ განუსვენე
ერთგულსა შენსა ქრისტეს მიმდევარს,
ნეტარ ჰყავ იგი უკუნისამდე!..
ტკბილი შვება აქ სიმწარით მკვდარს!...
ოხვრით და ცრემლით გამოტირებულს,
რისხვა არიდე მაღლით უფალო.
აბრაამისა წიაღსა შინა
ბინა მიუძღვენ შენ ძალთა ძალო!...
აბა მკითხველო! ეს ცრუ სოფელი
შურის ბუდეა და უგნურების!
იცოდეთ ამბობს ამას ვინც ლოდქვეშ
ძევს, ამბობს და თვით არ ეყურების!...

აკროსტიხის ავტოგრაფი უთარიღოა, მაგრამ საფლავის ქვაზე მიწერილი თარიღის მიხედვით, დაწერილი უნდა იყოს 1905 წლის სექტემბერში ან მის მომდევნო უახლოეს თვეებში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მესხიშვილების ფონდში (იხ. № 210) დაცულია პატარა ფურცელზე, უცნობი ხელით გადაწერილი ოთხსტრიქონიანი ლექსი, ხელმოწერით: აკაკი. ვფიქრობთ, აკაკის კალამს ეკუთვნის ეს სტროფი, რომელიც ჩვენთვის უცნობ პირს, რომელიღაც ალბომის ავტორისეული ჩანაწერიდან გადმოუწერია:

როგორც ზამთარი უცეცხლოდ,
სახერეც უსიყვარულოდ,
რა არის თუ არ ღვთის რისხვა,
სიცოცხლე უსიხარულოდ.

ხელნაწერთა ინსტიტუტის კირიონის ფონდში (იხ. № 341) აღმოჩნდა კირიონის წერილი იოსებ ჩიჯავაძისადმი. ამ წერილში (დაწერილია 1908 წლის 18 მარტს, პეტერბურგში) კირიონი ი. ჩიჯავაძეს წერდა, რომ აკაკის ნ. ნ. დურნოვოსადმი მიუძღვნია ლექსი, რომელიც მოსკოვში ალექსანდრე ხახანაშვილს გადაუთარგმნია და მას თვითონვე წაუკითხავს. ცნობილი სასულიერო მოღვაწე, ისტორიკოსი კირიონი — გიორგი საძაგლიშვილი, რომელიც ევგრიელის ფსევდონიმით წერდა, აკაკისთან ახლო მეგობრულ და საზოგადოებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთხსენებული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვო იყო ლიბერალური მიმართულების რუსი პუბლიცისტი. იგი რუსულ ცენტრალურ პრესაში გამოდიოდა წერილებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად. მასთან ურთიერთობა ჰქონიათ ქართველ მოღვაწეებს: კირიონს, ალ. ხახანაშვილს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს.

როგორც ჩანს, ამ პერიოდში ქართველი მოღვაწეების ბრძოლას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა აკაკი წერეთელიც. ამ გარემოებით აიხსნება, რომ აკაკის ლექსი მიუძღვნია ნ. ნ. დურნოვოსადმი. კირიონის ზემოაღნიშნულ წერილში ეს ლექსი მთლიანად არის მოტანილი. ბოლოში ხელმოწერით: აკაკი.

აღნიშნული ლექსის ავტოგრაფი არა ჩანს. შესაძლებელია, პოეტმა ლექსის ავტოგრაფი, რუსულ თარგმანთან ერთად, ნ. ნ. დურნოვოს მიუძღვნა, ხოლო მისი გადაწერილი პირი კი კირიონს დაუტოვა.

აღნიშნული ლექსები შესაძლებელია, მხატვრული თვალსაზრისით, აკაკის შემოქმედებას ახალს მაინცდამაინც არაფერს მატებდეს, მაგრამ მათ, მოცემული პერიოდისათვის, უთუოდ აქვთ გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

დიდი მწერლის თხზულებათა მომავალ, ახალ გამოცემაში ამ ლექსებსაც თავისი ადგილი უნდა მიეჩინოთ.

შალვა გოზალიშვილი

გიორგი ჩუბინაშვილი

დაბადების 80 წლისთავის გამო



ნახევარი საუკუნეა, რაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი დაუღალავად და საოცარი ნაყოფიერებით ემსახურება ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას.

თვით ქართველი ხელოვნებათმცოდნეობაც — როგორც მეცნიერება, უშუალოდაა დაკავშირებული გიორგი ჩუბინაშვილის სახელთან. და არა მარტო იმიტომ, რომ იგი ამ დარგის ყველაზე დიდი და თვალსაჩინო მოღვაწეა, არამედ და არსებითად იმიტომ, რომ იგი არის მეცნიერული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი საქართველოში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა, ეს არის გიორგი ჩუბინაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების გზა.

ქართული ხელოვნების ძეგლებით ბევრად უფრო ადრეც დაინტერესებია არა ერთი მოგზაური და მკვლევარი (მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, უვაროვა, პავლინოვი, ნიკო მარი, ნიკოდიმე კონდაკოვი, ექვთიმე თაყაიშვილი), მაგრამ თითქმის არცერთ მათგანს არ უცდია ამა თუ იმ ძეგლის, როგორც გარკვეული მხატვრული მოვლენის, ჩვენება და შეფასება. ხუროთმოძღვრული ძეგლები, მხატვრობისა და ჭედური ხელოვნების ნიმუშები თითქმის ყველა მათ აინტერესებდა მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტი, მხოლოდ როგორც დამხმარე ისტორიის წარმოსაჩენად.

1918 წელს გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ისტორიის კათედრა და ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი. აქედან იწყება ფაქტიურად ქართული ხელოვნების ნამდვილად მეცნიერული შესწავლის საქმე. კვლევას ამ დაწყებით ეტაპზე გიორგი ჩუბინაშვილს თითქმის მარტო უხდებოდა მუშაობა. ამ ხანებში მან ფეხით შემოიარა მთელი საქართველო; დააგროვა დიდძალი მასალა, მოახდინა ამ მასალის სისტემატიზაცია და შეუდგა მის მეცნიერულ ანალიზს.

მთელი საუკუნეების მანძილზე საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, ხელოვნების მთავარი, წამყვანი დარგი, ხუროთმოძღვრება იყო და, ბუნებრივია, გიორგი ჩუბინაშვილმაც, პირველ რიგში, სწორედ ხუროთმოძღვრებას მიმართა.

ძეგლთა დაწვრილებით და ღრმა სტილისტიკური ანალიზის შედეგად გიორგი ჩუბინაშვილმა პირველმა გვიჩვენა, რომ ქართული ბაზილიკები მკვეთრად გამოირჩევა სხვა ქვეყნების ბაზილიკური ხუროთმოძღვრებისაგან და რომ ისინი თავისი საერთო მიდგომით, კონსტრუქციებითა და დეკორით ქმნიან სრულიად ცალკე ჯგუფს („ქართული ხელოვნების ისტორია", ტ. I, 1936 წ „ბოლნისის სიონი", 1940 წ.) გიორგი ჩუბინაშვილმა გამოავლინა უგუმბათო ნაგებობათა სრულიად თავისებური ტიპი, რომელსაც მან სამეკლესიანი ბაზილიკა უწოდა და რომელსაც ჩვენი ქვეყნის გარეთ არსად მოეძებნება პირდაპირი ანალოგია (იხ. მისი წერილი „ბოლნის-კაპანაქჩი" „ხრისტიანსკი ვოსტოკ"-ში" ტ. V, 1917 წ. უფრო ვრცლად კი „ქართული ხელოვნების ისტორია", ტ. I და აგრეთვე — კახეთის ხუროთმოძღვრება, 1959 წ.).

ბევრად მეტი მნიშვნელობისა იყო ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების საერთო განვითარების სურათის დადგენა. გიორგი ჩუბინაშვილმა ძირითადად სწორედ ამის მიხედვით სრულიად ნათელი გახადა ქართული ხელოვნების თავისთავადობა, დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება, მისი სრულიად განსაკუთრებული ინდივიდუალური სახე („ქართული არქიტექტურის გზები", 1936 წ. „ჯვრის ტიპის არქიტექტურული ძეგლები", 1948 წ.).

გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერულ მუშაობაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კახეთის ხუროთმოძღვრებას. ამ კუთხის მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი, თვით საქართველოსთვისაც თავისებური ხუროთმოძღვრული მასალის შესწავლით გიორგი ჩუბინაშვილმა გაარკვია და დააზუსტა არა მარტო ქართული ხელოვნების ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხი, არამედ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქრისტიანული სამყაროს ხელოვნების ისტორიის ცოდნაც საერთოდ („კახეთის ხუროთმოძღვრება" 1959 წ.).

დიდი ღვაწლი დასდო გიორგი ჩუბინაშვილმა სომხური ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეს („სომხური კუპოლნაია საკითხისათვის", 1928 წ. „თალინის დიდი ეკლესია სომხეთში", 1930 წ. „სომხური ხელოვნება IX საუკუნის დასასრულიდან XI საუკუნის დასაწყისამდე", 1939 წ., „კიდევ არუჭის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის", 1946 წ.) ამ გამოკვლევებში გიორგი ჩუბინაშვილმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა იმ თეორიის მცდარობა, რომლის მიხედვით ქართული და სომხური ხელოვნება ვითომდა სხვა ქვეყნების ნასესხობა და მიმბაძველობა იყო.

გიორგი ჩუბინაშვილის სამეცნიერო ინტერესები მხოლოდ ხუროთმოძღვრებით არ შემოფარგლულა. არქიტექტურული ძეგლების კვლევა-ძიებასთან ერთად, მან თავიდანვე მიჰყო ხელი ქართული ჭედური ხელოვნების შესწავლასაც.

1921 წელს გამოქვეყნდა გიორგი ჩუბინაშვილის წერილი — „973 წლის ჯვარი იშხანიდან" (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI). ამ პატარა ნარკვევში ფაქტიურად მოცემულია ავტორის მთელი კონცეფცია ქართული სკულპტურის შესახებ. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს გიორგი ჩუბინაშვილის კაპიტალური ნაშრომი — „ქართული ოქრომჭედლობა" (1959). ცნობილი ბიზანტინისტის ფრანც დოლგერის აზრით, ეს არის „შთამბეჭდავი, ხანგრძლივი გამოკვლევა, რომელიც ბრწყინვალედ ააშკარავებს ქართული მეცნიერების მაღალ დონეს". უფრო ადრე, 1957 წელს, გ. ჩუბინაშვილმა გამოსცა ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლთა ალბომი. ეს დიდტანიანი ალბომი შეიცავს 200 ფოტოტაბულას, რომლებიც ჩვენი ჭედური ხელოვნების ძირითად ძეგლებსა და მათ დეტალებს ნატურალურ ზომებში წარმოგვიდგენს. ასეთი ალბომის გამოცემა, ავტორისავე განმარტებით, სრულიად აუცილებელი იყო „ქართულ ოქრომჭედლობაში" მოცემული ძირითადი დებულებების სარწმუნო მეცნიერული დასაბუთებისათვის.

გიორგი ჩუბინაშვილის ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე არც მონუმენტური მხატვრობა დარჩენილა: თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში „დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები" (1948 წ.), რომელშიც გადაშლილია ქართული კულტურის ამ უნიკალური ძეგლის ისტორიული ცხოვრების სურათი VI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, მან ცალკე თავი მიუძღვნა გარეჯის სამხატვრო სკოლისა და მისი განვითარების საკითხებს, ხოლო ბევრად უფრო ადრე, 1931 წელს, გერმანიაში მოწყობილი გამოფენის კატალოგში გ. ჩუბინაშვილმა ფრესკების ქრონოლოგიური დაჯგუფებით მოგვცა წინასწარი ზოგადი სქემა ქართული ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი დარგის ევოლუციისა.

ასე რომ, გიორგი ჩუბინაშვილის კვლევა-ძიების ობიექტი ქართული ხელოვნების ყველა ძირითადი დარგია.

გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერულმა პროდუქციამ განაპირობა ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა სკოლის ჩამოყალიბება. ეს სკოლა გიორგი ჩუბინაშვილის მიერაა შექმნილი და იგი დღესაც მისი ხელმძღვანელობით თვალსაჩინო და ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა სფეროში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ გიორგი ჩუბინაშვილი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა აღზრდის საქმეს. იგი გადასცემს თავის ახალგაზრდა მოწაფეებს მეცნიერულ ცოდნას, ეხმარება მათ კვლევით მუშაობის ყოველ ეტაპზე, აღვივებს მეცნიერებისადმი პატიოსან სამსახურსა და სიყვარულს.

განუზომლად დიდი და მნიშვნელოვანია გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერული შემოქმედება. მისი შრომები ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. ამ სახელოვანი მეცნიერისა და დიდი მოქალაქის ღვაწლი ღირსეულადაა დაფასებული: იგი ატარებს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებას, საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე არჩეულია აკადემიის ნამდვილ წევრად. 1959 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტმა გიორგი ჩუბინაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

ჩვენი მხცოვანი მეცნიერი კვლავ ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს მუშაობას, კვლავ ამდიდრებს და ავითარებს ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას. იგი დღესაც მხნე და ხალისიანია, დღესაც ისევე, როგორც თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში, ხშირი სტუმარია ქართული კულტურის ძეგლებისა. ამ დაუშრეტელი ენერგიის წყარო მეცნიერების სიყვარულია.

თ. საყვარელიძე

არნო ონელი

ბ უ ნ ე ბ ა

რადგან დღეს ასე კარგი დარია,
ასე უხვია მზის სხივოსნება,
სწორედ ამიტომ, გაგიხარია,
ლაღობდეს ჩემი ფიქრი-ოცნება.

მაშ, გასწი გულო! ღრის გაქროლება
ხან ჯიხვის, ხანაც არწივის დარად:
გვერდით არავინ არ მეყოლება?
ჩემთვის ბუნების სიმღერაც კმარა!

მთაში ვარ. ჩემი ჰუთხარო მიხმობს,
ვივლი, ვივლი და... მწვერვალზე ავალ,
და არა მჯერა, რომ სადმე იყოს
სიკვდილისა და სიცოცხლის დავა.

რადგანაც ისე კარგი დარია,
რომ სიყვარულით ცაც ილოცება,
ფიქრს და ოცნებას, გაგიხარია,
დღეს არ მოაკლდეს მზის სხივოსნება.

ააგუგუნა ტყემ ფანდურები,
მდელოებს მფარავს ყვავილთ
 ლაშქარი;
რის წყენინება, რის დამდურება,
რაც სიკეთეა — ყველა აქ არის!

მუხა, ჩემს სულში გადმოხატული,
რა სახოებით მიცქერს, მიღიმის,
იქ ნაკადული, აქ ნაკადული,
ვის არ მოალხენს მათი ღიღინი.

ხალამი ნისლი ნაქერალისა,
შუამავალი ცისა და მიწის,
რა შთაგონება, რა სიხალისე,
გული რომ ასე სიამით იწვის.

რადგან დღეს ასე კარგი დარია,
ასე უხვია მზის სხივოსნება,
სწორედ ამიტომ, გაგიხარია,
ლაღობდეს ჩემი ფიქრი-ოცნება.

[illegible]

ნოველები

გიორგი გელაშვილი

საგნის დანიშნულება

განყოფილების გამგეს დღეში უთვალავჯერ უწევდა დაწესებულების ხელმძღვანელთან შესვლა. ოთახიდან ყოველი გასვლის წინ კი, სადაც რამდენიმე თანამშრომელთან ერთად იჯდა, სკრუპულოზურად დაკეტავდა ხოლმე ცეცხლგამძლე ყუთსაც და საწერი მაგიდის ყველა უჯრასაც და გასაღებების მძიმე აცმულს პიჯაკის ჯიბეში საიმედოდ ჩაიდებდა.

თანამშრომლები ამას გულში მათდამი შეურაცხმყოფელ უნდობლობად განიხილავდნენ და ერთმა მათგანმა, ისიც ქალმა, ისიც მასზე ბევრად ახალგაზრდამ ანუ სრულიად ახალგაზრდამ გაბედა და სამდურავის კილოზე განმარტება მოსთხოვა განყოფილების გამგეს.

გამგემ პირველად შეიცხადა თანამშრომლის ეს კადნიერება, მაგრამ დასატუქსი საბაბი არ ჰქონდა და არც გამწვინვარდა.

— საქმე იმაშია, ჩემო კარგო, რომ, — ყველას გასაგონად, თავშეკავებით მიუგო მან ახალგაზრდა ქალს, ისევე როგორც ყველას გასაგონად გამოთქვა თავისი შენიშვნა თვით ახალგაზრდა ქალმა, — იქნებ ყველაფერიც დაკეტილი მქონდეს, მაგრამ ჩემივე ბედოვლათობით რამე მაინც დამეკარგოს, ხოლო თუ დანაკლისს ისეთ შემთხვევაში აღმოაჩენენ, როცა ცეცხლგამძლე ყუთი და საწერი მაგიდის უჯრები დაუკეტავი დამრჩენია, მაშინ ზოგადადამიანური ბუნების კვალობაზე სავსებით მოსალოდნელია უნებლიეთ სხვის მიმართ, კერძოდ რომელიმე თქვენგანის მიმართ აღმეძრას საზიზღარი ეჭვი და ეს უფრო უარესია, ვიდრე ყოველგვარი გაუფრთხილებლობისაგან წინასწარ თავის დაზღვევა.

ახალგაზრდა ქალს და დანარჩენ თანამშრომლებსაც გულზე რამდენადმე მოეშვათ, რაკი მიღებული განმარტების არსი ანუ განყოფილების გამგის მიერ წამდაუწუმ ყველა ჩასაკეტის ჩაკეტვის მიზეზი, მათი სინდისის და თავმოყვარეობის ასე თუ ისე პირდაპირ და უშუალოდ არ ხელყოფდა და თრგუნავდა.

საკუთარი პასუხი მოეწონა თვით განყოფილების გამგესაც და მით წაქეზებულმა თავისი მოსაზრება კიდევ უფრო სრულყოფა ინება. — ტყუილად არ იყოს, ყველა საგანს გამოყენება უნდა.

გამოუვიდა კი ამ ზედმეტი აღტყინებით ის, რომ ადრე მოტანილი აზრიანი განმარტება მოულოდნელად წყალში ჩაბეთქა, როგორც პირველი წარმატებით გახალისებულ თუ გახელებულ არა ერთ მხატვარს უმჯობესი გამომსახველობის მიღწევის ცდაში, ვეღარაფერი მიუმატებია კი არა, პირიქით, პეწი და ღირსება ჩამოუცლია ნახატისათვის.

დამატებითი განმარტებით გაწბილებულ თანამშრომლებს სახეზე სინანული აღებეჭდათ.

თურმე ყველა საგანს გამოყენება ნდომებია.

ანუ გამოდის, რომ თუ კაცს მაკრატელი ჩაუვარდება, საჭიროა თუ არა, მთელი დღის განმავლობაში უნდა ჰკუწოს რაც ხელში მოუხვდება, თუ საცერი გაქვს კი — სცრა და სცრა, სანამ ფქვილი გამოელევა, გამოელევა და ახლა მიწით აავსო იგივე ძირცხავა ჭურჭელი და უკვე ის დაარჩიო, ანდა თუ ერთობი და ბილიარდს თამაშობ, ხოლო რამდენიმე საათის მაგიდის ირგვლივ ტრიალით მისავათებული მოპაექრე თავის დაძვრას აპირებს, კარებში მაინც უნდა მისწვდე და ორივე ჯოხი ზედ გადაალეწო, თვითონ ბილიარდის ტყვიასავით მძიმე ბურთები კი ზემოთ აყარო და რიგრიგად თავი შეუმტვრიო.

ოღონდ საგანი ტყუილაუბრალოდ არ გაცდეს.

ვ ე რ ხ ვ ი

როგორც რაიმის ნაცნობი და საამური სურნელი, ისევე გამოსარჩევად ნიშნეული და დამატკბობელია ვერხვის ქრიალა ფოთოლთა თანაბრობნად გაბმული შრიალი.

ქალაქის ძველთა-ძველ ეზოზე კი სულ ერთადერთი ხე იდგა და სწორედ ვერხვი.

ამდენად სწორედ ვერხვის შრიალი განსაკუთრებით თავისებურად საყვარელი იყო დიდისთვისაც და პატარასთვისაც, ვინც კი ეზოში ცხოვრობდა და იგინივე ხშირი სიამოვნებით იყურებდნენ მის მეორე მთავარ სიკეთესაც — მაღლიან ჩრდილს.

მაგრამ ვერხვი სწრაფად იზრდება და მალე ხუცდება და ძველთა-ძველ ეზოსაც ნაადრევად მოაბერდა მისი ერთადერთი მცენარეული მკვიდრი. ოღონდ ხის სხეულზე გაჩენილ იარებზე ყურადღება მაინც და მაინც არავის მიუქცევია, რაკი ჯანგაუტეხავად შრიალებდნენ, და არც რაიმე მკურნალობა შეუწყვიათ.

ვერხვს კი ხაიარევი და დაფუტუროებული ხრო და ტოტები მოულოდნელად რამდენიმეგან ჩატეხილა, დაუსახიჩრდა, ფესვებს ილაჯი ამოუწყვიტა და კიდევ იყო აღსასრულიც დაუდგა.

მოვიდნენ გამკითხავნიც, დაძაბუნებული გოლიათი ხე ძირიანად ამოგლიჯეს და მიწაზე დაახეთქეს, გაჩეხეს, ასხიპეს და ეზოდან ჯერ გუდურებად შეკრული ტოტები გაზიდეს, მერე კი ჯაჭვებშებმული ხროც გაათრიეს.

გულსაკლავი სანახავი იყო წაქცეული ხის დამახინჯებული სხეული და ერთობლივ ეზოზე გამოფენილმა, ერთნაირად ნაღვლიანმა მეზობლებმა, დიდმა თუ პატარამ, ღირსეული საპატიო დუმილით გააცილეს იგი. თან თვითეულმა ახლადა აღმოაჩინა გულში, რა მშვენიერი, რა ფასდაუდებელი ყოფილა. მიმოიხედეს კიდევ და ეზო თითქოს ვეღარ იცნეს, სრულიად გაცარიელებულად, ელფერდაკარგულად მოეჩვენათ იქაურობა უვერხვოდ.

ამოგლეჯილი კბილისა არ იყოს.

კბილს იმთავითვე უნდა უვლიდე ყურადღებით, ვიდრე ადგილზეა, ხდება კი ღირსი ამისა, როცა საბუდრიდან ამოგვივარდება და ხელის გულზე აღმოგვიჩნდება.

ქ ო ლ გ ა

ერთგვარად დაუნახავი, უფრო ზუსტად კი უმადური და უბიაკი იყო თავის წრეში გათამამებული მოქალაქე, რომელიც უფიქრელად და უმიზეზოდ ხშირად ხელაღებით ტალახში ათრევდა კაცობრიობის აზრის სხვადასხვა საპატივცემულო ნაყოფს. დიდ გამოგონებათა წინაშე მეტწილად მაინც და მაინც გულგრილად ყურ ილაშქრებდა, მაგრამ წერილმანს კი, ვთქვათ, მაკრატელს, მაშას, ზედაფებს, სარკეს, კონსერვის ქილებისა თუ ბოთლების ნაირსახოვან გასახსნელებსა და სხვა მათთანებს, რომ იტყვიან, პირდაპირ სისხლს უშრობდა.

ქოლგაზე მაინც მეტისმეტად იყო ჩაციებული.

— ვინ, სად და როდის შექმნა იგი პირველმა, — აცდებით იტყოდა ხოლმე იგი ქოლგის შესახებ, — არ ვიცი, მაგრამ სახარაბახო კი სულაც არაფერი აქვს მის გამომგონებელსო.

იმდენად აშკარად უგულებელყოფდა მას, რომ ერთხელაც, როდესაც მეუღლითურთ კინოში მიდიოდა, სწორედ ერთგული და სათაყვანო ცხოვრების თანამგზავრიც კი შეარცხვინა, რაკი ქალური წინდახედულობით, ცაზე მოდებული საავდრო ღრუბლის გამო მანდილოსანი ქოლგით აღჭურვილიყო.

შელაპარაკებას კი, რა თქმა უნდა, უკმაყოფილება მოჰყვა და მთელი სეანსის მანძილზე გარემეხებივით უხმოდ იჯდნენ კინოში ერთმანეთის გვერდით.

კინოდან გამოსულებს კი სწორედ შუა გზაზე და ისეთ ადგილზე ქუჩაში, სადაც სიახლოვეს რაიმენაირი თავშესაფარის მსგავსიც არაფერი შექმნა კაცის ხელს, უბრალოდ წვიმა კი არა, საშინელი ღვარცოფი დაატყდათ. მეუღლემ, რაღა თქმა უნდა, მაშინვე ქოლგა გაშალა, უბიაკი მამაკაცი კი, თანაც მელოტი — სხვათა შორის იგი მკაცრად უგულებელყოფდა სათავხურსაც — და იმჯერად უქუდო, თავშიშველი, მას შორი-ახლოს გაკვეთილი მიჰყვებოდა.

მაგრამ ქოლგებით აღჭურვილ სხვა თანამგზავრთაგან გამვლელთ თვალში იგი უაზრო გმირობის ჩადენით შეპყრობილ სასაცილო რაინდს ჰგავდა და თავს ზევით ძალა და სხვა გზა არ იყო, იძულებული უნდა გატეხილიყო. გაწუწული და ნირწამხდარი კიდევ წამოეწია უსიტყვოდ მიმავალ მეუღლეს, რომელმაც მას ქოლგის სიკეთე დიდსულოვნად უწილადა. ქოლგის ქვეშ მან უმალ შვება იგრძნო, რაკი თავზედ წვიმისაგან თავი გადარჩენილა და, რაც მთავარია, ცოლსა და ქმარს შორის დაუყოვნებლივ სანუკვარი მშვიდობა აღსდგა.

ამჯერად იქნა ცნობილი და აღიარებული ადამიანთა მოდგმის კიდევ ერთი წარმომადგენელთაგან ოდესმე და სადმე ვიღაცის მიერ გამოგონებული და შექმნილი ერთი უბრალო და უწყინარი ატუხად აგდებული საგანი.

ს ა კ ი დ ა რ ი

მთელი დაწესებულება თუმცა დიდი და ვრცელი, მაგრამ სულ ერთადერთი ოთახი კი იყო და ერთობ ვიწროობას განიცდიდა. განსაკუთრებით მაინც ზამთრობით, როცა სხვადასხვა სადაწესებულებო მოწყობილობით ისედაც აჩიჩხლილ გარემოს ზედ კიდევ თანამშრომელთა პალტოები თუ ლაბადები ემატებოდა, რომლებიც, როგორც წესი, რაკი სხვა საშველი არ იყო, თვითეულისავე სკამის საზურგეზე ეკიდებოდა და ამისადა გამო საწერ მაგიდებს შორის გავლაც კი თითქმის შეუძლებელი ხდებოდა.

ყველა დანარჩენთათვის მოულოდნელად მდგომარეობის ერთგვარად მაინც გაუმჯობესება ერთ-ერთ თანამშრომელს, ბეჯით ყმაწვილს ეთავა, და სწორედ ზამთრის ერთ დილას საგანგებო ნობათივით მოართვა ერთ ოთახში შეკუმშულ მთელ დაწესებულებას გრძელი ხის მრავალწვერიანი, წვრიწვეტა ლარნაკივით დასადგმელი საკიდარი. უმალ თვითონვე, მთელ ოთახს სავიწროვის გამო მუშაობის ილეთებითა და ოსტატობით შემოუარა და წინასწარ ერთ-ერთ კუთხეში საახალწლო ნაძვის ხის პატივით მოთავსებული უხვად დატოტვილი საკიდარი თანამშრომელთა პალტოებითა თუ ლაბადებით აჰკაზმა.

ოთახი მოულოდნელად თითქოს განიტვირთა და ხალვათიც კი შეიქმნა. თანამშრომელთა უმეტესობამ შვებით ამოისუნთქა, ამავდროს ახალგაზრდა თანამოსაქმეს მადლიერად გაუღიმა, ხოლო საკუთარ თავს კი დასცინა, მდგომარეობის ასეთნაირად შემსუბუქება თურმე რა იოლი ყოფილა და იგივეს გაკეთება ჩვენ როგორ არ მოგვაფიქრდაო. უმეტესობამ, და არა ყველამ, რადგან საკიდარს რომ თვალები ჰქონოდა, გულისტკივილით შეამჩნევდა, ზოგიერთმა პირად შეურაცხყოფად აღიქვა იგივე, გულში მეტიჩარად გამოცხადებული თანამშრომლის ფხიანობა და თავის თავს კი არა, სწორედ მას დასცინა უსიტყვოდ: ეს რა უბადლო ქველმოქმედება ჩაიდინა. სად ჩვენი გაყინული ტვინი და სად კიდევ შენი ბრწყინვალე საზრიანობა! ამდენად კი, საკიდარს ენაც რომ ჰქონოდა, სინანულით იტყოდა: მე, დიდი არაფერი მანქანა ვარ, მაგრამ რაცა ვარ, ასე თუ ისე გამოგადგებით, ხოლო თუ ამში არად მიგაჩნივართ, ამ კეთილ ყმაწვილს მაინც რას ემართლებით, ხომ საკუთარი რამე ქონის მოსაკლავად კი არა, ერთბლივ ყველას სამშველოდ მოგივლინათ ჩემი თავიო.

ხ ს ნ ა

ჰქონდა არაჩვეულებრივი მხედველობითი მეხსიერება, გნებავთ ბარემ ორმოცდაათ წყვილ კალოშში ერთი უცხოდ დახედვითაც მეორედ შეუცდომლად გამოარჩევდა თავისებს, და საერთოდ თავმდაბალსა და ჩუმ უწყინარ მამაკაცს ამ უჩვეულოდ დიდი ვარჯიშის შედეგად მოპოვებული თვისებით კი თავი აშკარად მოჰქონდა. კიდევაც თვითონვე ეძებდა შემთხვევას, რომ ეს სასიქადულო მეხსიერებითი ნიშანი, თითქოს და სხვათა შორის საჯაროდ ეჩვენებინა და მით ხალხზე სასწაულქმედითი შთაბეჭდილება მოეხდინა. ისიც კი გაუკეთებია, რომ რომელიმე წვეულებიდან ადრე წასვლით ერთგვარი მახვერალი გაუღია, ოღონდ კი დერეფანში გასაცილებლად გაყოლილი მასპინძლები, უმეტესად ქალები და ბავშვები თავისი შეუდარებელი მხედველობითი მეხსიერებით — სწორედ მრავალ მიყრილმოყრილ კალოშს შორის თავისი წყვილის უმალ ამოცნობით გაეოცებინა, რაკი მოგვიანებით, ანუ სტუმრების ერთობლივ ამლისას წასვლის შემთხვევაში მისი საოცარი თვალთმხედველობის უნარს საერთო ფუსფუსის გამო შესაძლოა შეუმჩნევლად დარჩენის საფრთხე ელოდა.

მაგრამ დროთა მსვლელობაში ქუჩების სათვალავის არსებითმა გაუმჯობესებამ და ფეხსაცმლის ახალი და ახალი ნიმუშების წვიმა-თოვლიანი პირობებისთვისაც საუკეთესოდ შეხამებამ კალოში თანდათან თითქმის სრულიად განდევნა საქალაქო ხმარებიდან და კვლავ უცილოდ დარჩენილი, უკვე შესამჩნევად დამჭკნარი მოქალაქის მხედველობით მეხსიერებას კვალდაკვალ გამოჩენის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი მოესპო. რადგან სხვამხრივაც თუმცა არანაკლებ ჰქონდა გავარჯიშებული

(დასასრული მე-4 გვ.)

მინდია არაბული

• • •

შენს ცდაში ღამე მისწრებს, ქალშავო,
და ეზში ვათევ, როგორც იგი.
როგორც კი მზერას დავსცემ
 სახეშავლის,
გული რატომღაც მიფორიაქობს.

უცბად ამიტანს ცეცი და უნდა
ჩქარა ამოვდო ლურჯას ალვირი,
შეიფხოს და უძილაურთან
შემოვევარდები მე უჩალიეთ.

სოფლის ბოლოზე ისევ დავდგებ,
როგორც მშიერი ქორი წიწილს...

ისევ მაშრება სიტყვა ბაგეზე,
უკან ვბრუნდები ისევ პირწმინდად.

დიდხანს ვჩერდები გზაში ანწლებთან
შემომცქერიან ხენი მორცხვად,
შენი ტიტინი ისევ ჩამწვდება,
ისევ რატომღაც ვიცდი ორწყალთან.

მაგრამ გზადაგზა ხეთა რტოები
ერთურთს რატომღაც იხვრით
 ჰკოცნიან.
მიყურებენ ჰელას განმარტოებით,
გათხოვდი?..
მართლა?..
მომილოცნია!..

მიხეილ ქვლივიძე

ისევ არყის ხეები

ამ ჩრდილოეთშიც თვალწინ
მიდგა ბავშვობა ჩემი:
მა, ჩამიქროლა გვერდით,
ზედ ყურთან თოვის დილით...
ეს ხომ ეზოა ჩვენი,
ეს ხომ სახლია ჩვენი,
ესეც — ხეები ჩვენი...
ვინ შეათეთრა ცარცით?

სად დაიკარგა, ნეტავ,
ტოტებს ხილი რომ ესხა,
ან გავსებული მაჭრით
ქვევრების სიმწუხარე?

რად არ იშლება [illegible],
რად არ გაისმის კვენა,
რომ საქართველოს მსგავსი
ქვეყანად არ არის მხარე?!

ხსოვნის წინაშე (დროთ!)
თავს მოწიწებით დავხრი,
გამახსენდება ქართლი...
გორი, კახეთი და მცხეთა...
ნაცნობი არის ეზო,
ნაცნობი არის სახლი,
მაგრამ — ხეები?.. ცარცით
ვინ შეათეთრა, ნეტავ?

* * *

რაღაც ხელს მიშლის, რომ
გოლიათო —
გადავეხვიო ან და გავერთო,
გულისნადები ვინმეს გავანდო,
სხვებთან მოვნახო რამე საერთო.

თითქოს ვიღაცა დამდევს
კვალდაკვალ,
წინ მელობება, ფეხქვეშ მედება...
ვერ გამიგია ეს თავგადაკვლა,
მისი ასეთი თავგამეტება!

ვინ არის, ნეტავ, ის უხილავი —
შენი მოსარჩლე, ჩემში რომ სახლობს,
ვინც ამარიდა ყველა ხიფათი,
არ გამაკარა არავინ ახლოს,
შემინარჩუნა ოჯახის სითბო,
შუქი მომფინა ჩემს ხვედრს,
მომავალს?..

ისე, ძვირფასო, მე ზოგჯერ ვფიქრობ,
რომ ეს უცნობი... მე თვითონ ვარ!

* * *

ჩემო იმედო დიდო,
ძალო ჩემი მუხლის,
მარტო რად უნდა ზიდო
სიმძიმე ჩვენი უღლის?!

ვერ გადავიხდი ამაგს,
სულ რო მოვიკლა თავი!..

ეს შენი სული — ზღვაა,
მე — ზედ პატარა ნავი.

აღელდები და უმალ
ვუშვებ ხელიდან საჭეს...
მე ჩავიძირო თუნდაც,
ოღონდ შენ იყო მარჯვედ!

მატარებელში

ჩვენ შორის — დღითიდღე იზრდება
მანძილი
და შენი ვერნახვის ღრმავდება იარა...
ერთი დღე გავიდა, კარგო, რაც
დავცილდი
და ასე მგონია წელმა გაიარა!
არ გიცქერ თვალებში,
არ მესმის შენი ხმა,

არ მატკბობს ეგ შენი ფარული
მშვენება...
სულ ერთი დღე არის... და ვამბობ:
ერიმაა!
ასე რომ გაგრძელდეს, რაღა
მეშველება!

* * *

გახელილ თვალებს ვუმღერო მინდა,
იმ თვალებს — ნდობით ფართოდ
გახელილს —
რომ გიცქერიან წყნარად და მშვიდად
თუმც არ იციან შენი სახელი.

რომ არ გაკლებენ ზრუნვას და
ალერსს
თუმც არ იციან: ვინ ხარ და რა ხარ...
დიდებს ნდობით გახელილ თვალებს,
ნუმც მოგვკლებია ჩვენ მათი ნახვა!

ღვაწლმოსილი მეცნიერი



ამ დღეებში სამოცდაათი წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს სიმონ ყაუხჩიშვილს. ამ თარიღს სიყვარულით აღნიშნავს ჩვენი საზოგადოებრიობა.

სიმონ ყაუხჩიშვილი მოღვაწეთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული სულიერი კულტურის ტაძარს — ქართულ უნივერსიტეტს. სახელოვანი მეცნიერი, ბიზანტინოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის და ქართველოლოგიის დარგების ცნობილი სპეციალისტი უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღიდანვე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას, 1926 წლიდან ხელმძღვანელობს ბიზანტინოლოგიის კათედრას, ხოლო 1938 წლიდან — კლასიკური ფილოლოგიის კათედრასა და იმავე დროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიზანტინოლოგიის განყოფილებას. ამჟამად იგი არის გამგე ბიზანტინოლოგიის განყოფილებისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1960 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ს. ყაუხჩიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ მეცნიერთა მთელი თაობა.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი — მრავალი ძველი თუ ახალი ენის მცოდნე მეცნიერი არის სახელოვანი ფილოლოგი, წყაროთმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ბერძნული და ქართული პალეოგრაფიის სპეციალისტი, ქართული და ბერძნული ფილოსოფიის საკითხების მკვლევარი. მან შექმნა ბევრი საყურადღებო გამოკვლევა, რომელთა დიდ ღირსებას წარმოადგენს მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი მიგნებები და მეტად საჭირო მითითებები პირველწყაროებზე. მის ყოველ ნაშრომში გამოსჭვივის პოზიტიური ცოდნის სიუხვე, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერული გამოკვლევის შექმნისათვის.

მრავალმხრივია ღვაწლი ამ მრავალმცოდნე ადამიანისა. მისი კალამი 1914 წლიდან დღემდე შეუსვენებლად შრომობს და ემსახურება მეცნიერების წინსვლასა და გამდიდრებას.

საქართველოსა და საბერძნეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს იმ დიდ მუშაობას, რომელიც ს. ყაუხჩიშვილმა გასწია ბერძნული და ქართული წყაროების გამოცემის დარგში. ცნობილია, რომ ტექსტების პუბლიკაცია მეტად მძიმე საქმეა, ის მოითხოვს ნებისყოფისა და გონების ძალის არაჩვეულებრივ დაძაბულობას. ამიტომ ზოგი მეცნიერი თავს არიდებს წყაროთა გამოცემას და კმაყოფილდება სხვის მიერ გამოცემული ძეგლების ანალიზითა და ინტერპრეტაციით. ს. ყაუხჩიშვილი კი არ ერიდება მძიმე ჯაფას და ასრულებს უძნელეს და მეცნიერებისათვის აუცილებელ საქმეს. აი ეს კაპიტალური გამოცემები:

ა) „გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის" ქართული თარგმანი". (გამოიცა 1926 წელს ქართული ტექსტი ოთხი ხელნაწერის ვარიანტების გათვალისწინებით. ესაა IX საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის თხზულების ქართული თარგმანი შესრულებული არსენ იყალთოელის მიერ).

ბ) „ქართლის ცხოვრება." 1942 წელს გამოვიდა პირველი გამოცემა („ანასეული ქართლის ცხოვრება"), ხოლო 1955-1959 წლებში — „ქართლის ცხოვრების" I და II ტომი. განზრახულია III ტომის გამოცემაც, რომელიც შეიცავს საქართველოს XVIII საუკუნის ისტორიას.

გ) „იოანე პეტრიწის შრომები". აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ს. ყაუხჩიშვილი მონაწილეობას იღებდა პროკლე დიადოხოსის „ფილოსოფიის ელემენტების" ბერძნული ტექსტის გამოცემაში, რომელიც დაამზადა ინგლისელმა მეცნიერმა ე. დოდსმა 1933 წ. და 1963 წლებში ოქსფორდში.

დ) „გეორგიკა — ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ" — ხუთ ტომად. ტომებში ბერძნული ტექსტის პარალელურად დაბეჭდილია ქართული თარგმანი. უკანასკნელ მეხუთე ტომში შედის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნული ტექსტის პუბლიკაცია, რაც წარმოადგენს პირველ გამოცემას ამ ძეგლის უძველესი ხელნაწერისას; ეს არის კუნძულ ქიოსის ხელნაწერი, მიღებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის მიერ ამ უკანასკნელ წლებში. ხელნაწერი ეკუთვნის XI—XII საუკუნეებს. დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ 1904 წელს ლუი პტის მიერ გამოცემული XVIII — საუკუნის ნაკლულოვანი ხელნაწერი („ვიზანტიისკი ვრემენნიკ" XI ტ.), შევსებული ძეგლის ახალ ბერძნულ ენაზე შესრულებული თარგმანით. აქედან ჩანს, თუ რამდენად დიდია ღირებულება კუნძულ ქიოსის ძველი სრული ნუსხისა.

ამ პუბლიკაციებს ერთვის ვრცელი გამოკვლევები, რომელნიც საყურადღებო და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის, არამედ საბერძნეთის თუ სხვა ქვეყნების კულტურათა ისტორიისათვისაც. შეგვიძლია მოვიხსენიოთ ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრების" გამოცემაში, რომელიც ფუნდამენტალურ, საფუძველმდებელ ნაშრომს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიისათვის, გარკვეულია არა მხოლოდ ძეგლის წარმოშობისა და შედგენილობის საკითხი, არამედ სხვა ზოგად საკითხთა გვერდით დადგენილია, მაგალითად, ბიზანტიელი ისტორიკოსის სკილიცა-კედრენეს საცდავი თარიღი. აღარაფერს ვამბობთ „გეორგიკების" მნიშვნელობის შესახებ, რომელთა ვრცელი შესავლები — გამოკვლევები, და მათს გარეშე გამოქვეყნებული მრავალი შრომა ჩვენი მეცნიერისა, ნათელს ჰფენენ ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს და ამჟღავნებენ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ბევრ მხარეს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ 1948 წელს გამოცემული „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან", სადაც გაშუქებულია აღნიშნული ქვეყნის ისტორიის IV-VII საუკუნეების პერიოდი.

დიდი დამსახურება მიუძღვის ს. ყაუხჩიშვილს ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე. შეუძლებელია ყველა შრომის სათაურის მოტანა. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ქართული თუ ბერძნული „ბალავარიანის" ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი დადგენილია მეცნიერის შრომებში. გარკვეულია ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის, VI საუკუნის ბიზანტიური რომანის „ღლაქტიონისა და ეპისტიმის" საკითხები და სხვ. ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პრობლემის თანამედროვეული. დეტალური კვლევა მოცემულია „ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში" და „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის" I, II, III ტომებში.

პირველ ტომში წარმოდგენილია ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ელინური ხანა, გამოკვლეულია ეპოსის, ლირიკის, დრამისა და პროზის საკითხები. ამ ნაშრომის განსაკუთრებული მნიშვნელობა სხვა ანალოგიურ ნაშრომებთან შედარებით, გარდა მრავალი ზოგადი საკითხის ახლებურად გაშუქებისა, მდგომარეობს ბერძნულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვეთრად გამოყოფაში და მათ სპეციალურ კვლევაში, საბერძნეთის წინამოსახლეობისა და ბერძნული მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხების წინწამოწევაში, ბერძნულ ლიტერატურულ ჟანრებზე წინაბერძნული მოსახლეობის წრეში არსებულ ლიტერატურულ ჟანრთა გავლენის აღნიშვნაში. აქ ეხვდებით პრომეთე-ამირანის თუ ეეტის და მედეას პრობლემების ახლებურად გაშუქებას.

მეცნიერების ჰუმანიტარულ დარგთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას" (1949 და 1963 წ.წ.). ასეთი ნაშრომი პირველად დაიწერა საბჭოთა კავშირში, ხოლო დასავლეთ ევროპაში გამოსული ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიები (კ. კრუმბახერის, ჟ. დიტერიხის, თრ. დოლგერის) ვერ იძლევიან მხატვრული ლიტერატურისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ თვისებათა განხილვას, ისინი კმაყოფილდებიან უმთავრესად ფაქტების მშრალი ჩამოთვლით. გვერდს უვლიან ამ ფაქტების ანალიზს და მათ წარმოდგენას ზოგად ასპექტში. ისინი თვლიან, რომ ბიზანტიური ლიტერატურა არის ძველი ბერძნული მწერლობის გადამღერება, რომ მას აკლია ფორმათა ორიგინალურობა და შინაარსის სიმკვეთრე. ს. ყაუხჩიშვილის შრომებს წითელი ხაზივით გასდევს აზრი, რომ ბიზანტიის ლიტერატურა არ წარმოადგენს ძველი ბერძნული ლიტერატურული ჟანრებისადმი მხოლოდ მიბაძვას. მართალია, ის ორგანულად დაკავშირებულია ძველ მწერლობასთან, არის მისი შემდგომი საფეხური და არა შემთხვევით წარმოშობილი ფაქტი, მაგრამ მას აქვს საკუთარი ხასიათისა და ორიგინალური ფორმების შემცველი, ძველთან შედარებით თვისობრივად განსხვავებული პოეზია და პროზა. აქ, დასავლური გამოკვლევებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით ესმება ხაზი აღმოსავლეთის ხალხების როლს ამ ლიტერატურის შექმნაში და საერთოდ ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებაში. კერძოდ აქ ვრცლად არის ლაპარაკი საქართველოს როლზე (იხილეთ თავები ფოთის რიტორიკულ სკოლაზე, თემატიოსის, ლიბანიოსის, ბაკურის შესახებ, არეოპაგიტიკის და პეტრე იბერიელის საკ[illegible] თხზულებათა [illegible] შესახებ. თომასის — „[illegible]" [illegible] [illegible] („[illegible]"), [illegible] იოანე პეტრიწის შესახებ).

ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის ბერძნული მწერლობის ნიმუშების მრავალი თარგმანი. ეს თარგმანები განსაკუთრებულად ძვირფასია, რადგან ისინი შესრულებულია ბერძნული და ქართული ენების საუკეთესო მცოდნის და კეთილსინდისიერი მეცნიერის მიერ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევს თარგმანის დედანთან სიახლოვეს და სიზუსტეს. მათგან აღსანიშნავია პლატონის დიალოგების, არისტოტელეს „ათენელთა პოლიტიის", „გეორგიკებში" მოცემული ბერძნული ტექსტების, პეტრიწონის წესდების ბერძნული ტექსტის თარგმანები.

ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის პალეოგრაფიული და ეპიგრაფიკული შინაარსის გამოკვლევები — „კორინთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერები" (1924 წ.), „პეტრიწონის ტიპიკონის" გამოცემაში წარმოდგენილი დაკვირვებები, „ნოსირის ბერძნული წარწერა" (1941 წ.), „არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები" (1941 წ.), „მცხეთა-სამთავროს ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა", (1943 წ.) და სხვ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გამოკვლევები ენათმეცნიერების ცალკეულ საკითხებზე: „იოტაციური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები" (1925 წ.), „უცხო სიტყვათა გადმოცემის ფონეტიკური საკითხები", (1932 წ.), „ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები", (1946 წ.), „საბერძნეთის უძველესი მოსახლეობისა და ბერძნული ენის შექმნის საკითხი" (1953 წ.), „მამაკაცთა ბერძნული სახელების გადმოცემისათვის ქართულში" (1925 წ.), „სხვადასხვა ორთოგრაფიული საკითხები" (1933 წ.) და სხვ.

ცნობილია ს. ყაუხჩიშვილის დამსახურება ლექსიკოლოგიის დარგში. მას ეკუთვნის ლათინურ-ქართული ლექსიკონები, გამოცემულ ტექსტებზე დართული ბერძნულ-ქართული ლექსიკონი და სხვ. ახლო მომავალში გამოქვეყნდება „ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი", რომელიც შექმნილია მეცნიერისა და მისი მოწაფეების 40-ზე მეტი წლის მუშაობის შედეგად.

დიდია პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის ღვაწლი. ძნელია მისი გამოკვლევების უბრალო ჩამოთვლაც კი. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და მოღვაწემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი კულტურის განვითარებაში. სიმონ ყაუხჩიშვილი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ეწევა მეცნიერების ჭაპანს. ნურც დაღლილიყოს იგი ამ კეთილშობილურ შრომაში!

ნ. კეჭაღმაძე

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

ქართულ-ფრანგულ კულტურულ ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ორივე ეს ქვეყანა, მეტ-ნაკლებად, დაინტერესებული იყო ერთმანეთის გაცნობით, ერთმანეთთან დაახლოებით; ყოველივე ეს კი ამდიდრებდა და ავსებდა ორივე ქვეყნის კულტურულ საუნჯეს, ხელს უწყობდა ურთიერთობის კულტურულ ფასეულობათა გაცვლას. ფრანგები იმთავითვე დაინტერესდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხის გაცნობით, მისი უძველესი კულტურითა და ლიტერატურით. ჩვენში ჩამოსული გამოჩენილი ფრანგი სწავლულები თავიანთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გატაცებით მოუთხრობდნენ თანამემამულეებს საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის შესახებ.

ფრანგულ ლიტერატურაში სამუდამოდ დამკვიდრდა და განმტკიცდა ფრანგი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აზრები და შეხედულებანი: „საქართველო ამშვენებდა ევროპას არა მხოლოდ თავისი ფლორათი, როგორც, მაგალითად, ვაზით და თითქმის ყველა ჩვენი კულტურული მცენარეებით, არამედ თავისი ადამიანებითაც". „საქართველომ უფრო მეტი გასცა, ვინემ მიიღო". „ქართველი ხალხი, რომელსაც საქართველოს გარეშე ვერსად ნახავთ, იმდენად სათუთი, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და მებრძოლი ხალხია, რომ მას სპეციალური გამოკვლევა უნდა მიეძღვნას". „საქართველომ წარმოშვა მხედართმთავარნი, რომლებიც გმირები არიან, წარმოშვა მგოსნები, რომლებიც გენიოსთა სახელს ატარებენ". „ქართველ ხალხს აქვს ტრადიციები და ხასიათები, რომელნიც ღირსნი არიან, რომ შეიცნო და დატკბე მით. ამ ხალხს, რომელსაც დიადი აზრები ახასიათებს, ზოგჯერ გენიალური თვისებები აქვს" და ა. შ.

სიამაყის გრძნობით ივსები, როცა ხედავ, თუ როგორ დააქროლებდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები მთელი კულტურის დაუცხრომელ მერანს და როგორ მტკიცედ ეჭირათ ხელში „ვეფხისტყაოსანი" — საკაცობრიო კულტურის ეს ოქროს საშვება.

არც ქართველები, განსაკუთრებით XIX საუკუნის ქართული კულტურისა და ლიტერატურის წარმომადგენლები, დარჩენილან ვალში, — ისინი გულდასმით ადევნებდნენ თვალ-ყურს ფრანგული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებას, ფრანგი ხალხის ცხოვრებას და ყოველივე ამის შესახებ წერდნენ და აქვეყნებდნენ შრომებს.

მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა, რომლის დიდმა ნაწილმაც საუცხოოდ იცოდა ფრანგული ენა, მუდამ იყო იმის კურსში, რაც ხდებოდა საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებაში. სავსებით მართებულად ამბობდა ქართული და ფრანგული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი კიტა აბაშიძე: „პარიზში რომ წიგნი გამოვა, ორი-სამი კვირის შემდეგ იგი თბილისში უკვე წაკითხული აქვთო".

სახელგანთქმული ქართველი სამოციანელები, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დიდად იყვნენ დაინტერესებული საფრანგეთის და საქართველოს ერთმანეთთან დაახლოებით, ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებით.

ამ მხრივ დამახასიათებელია ასეთი ფაქტი: 1884 წლის 30 ნოემბერს ქართულ თეატრში ფრანგების კოლონიისა და ფრანგთა საქველმოქმედო საზოგადოების დასახმარებლად და პატივსაცემად, გაიმართა დიდი საღამო-წარმოდგენა, რომელსაც საფრანგეთის კონსულიც ესწრებოდა და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა მსახიობებმა. ამ შეხვედრამ დიდი წარმატებით ჩაიარა. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. გაზეთმა „დროებამ" მეორე დღეს თავის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ქართული თეატრი ხალხით იყო სავსე. მასში თითქმის მესამედს არ ესმოდა ქართული ენა. მაგრამ როგორც ეტყობოდა, არავის არ მოსწყენია. პროგრამა ასეთი იყო: 1. მიტასთან გამოხუმრება (ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმ.), 2. პირველი მოქმედება კომედიიდან „ხანუმა", 3. მეორე მოქმედება კომედიიდან „პარიზელი ბიჭი", 4. მესამე მოქმედება დრამიდან „არსენა", 5. დივერტისმენტი.

წარმოდგენის შემდეგ „დროების" რედაქციამ (რედაქტორი ივანე მაჩაბელი), საფრანგეთის კონსული საქართველოში, ფრანგების საქველმოქმედო კომიტეტის წევრები და ორმოცდაათამდე პატივსაცემი პირი მიიწვია სახელდახელოდ გამართულ ნადიმზე. აქვე იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია და სხვ.

სუფრაზე „დროების" რედაქტორმა ივანე მაჩაბელმა ფრანგულად ასე მიმართა სტუმრებს: „როდესაც მცირე ხალხი რაიმე სამსახურს უწევს დიდ ერს, იგი ამით სამსახურს თავის თავს უწევს. ფრანგების საქველმოქმედო კომიტეტს სწადდა, რომ მეგობრულად გამართულ ჩვენს საღამოზე დასწრებით, შეეძინა რამ იმ საქველმოქმედო საქმისათვის, რომელსაც იგი ემსახურებოდა, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი შევიძინეთ...

მთელი ქართველი საზოგადოება ასიამოვნა იმ ამბავმა, რომ ფრანგების კოლონიამ სიხარულით მიიღო ჩვენი მიწვევა. ნება მიბოძეთ, ამ საზოგადოების მხრივ მადლობა გიძღვნათ.

ეს პირველი არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელიც არ იქნება, რაც ფრანგებს მიუქცევიათ თავიანთი ყურადღება ჩვენი ქვეყნისა და ლიტერატურისათვის. არც ერთს ევროპელს უცხო ხალხს იმდენი არ უღვაწნია, როგორც თქვენსას, ჩვენი ისტორიისა და ერის განვითარებისათვის. თქვენი აქ დასწრება იმის მომასწავებელია, რომ ეს უფრო გაცხოველდება, რაკი ერთმანეთს გავიცნობთ. თქვენ გეკუთვნით სრული ჩვენი თანაგრძნობა. ნება მიბოძეთ, იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველთვის გვეხსომებით".

სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კონსულმა: „როგორც თავმჯდომარე აქაურის ფრანგების ქველმოქმედის საზოგადოებისა, — თქვა მან, — გიბრძანებთ, რათა გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ იმ ძმური შემწეობისათვის, რომელიც ამ საღამოს ქართველობამ ამ ჩვენს გაჭირვებულ თანამემამულეებს აღმოუჩინა... სწორედ ხელმწიფური საქციელი უძღვენით დღეს თქვენ ჩვენს ღარიბ საზოგადოებას. ერთხელ კიდევ დამტკიცდა ამ სახით მაგალითით, რომ ქველმოქმედებას, როგორც მეცნიერებას ხალხთა შორის საზღვრები როდი აქონია. მხურვალე მადლობასა ვწირავ ჩვენს გულკეთილ მასპინძელს „დროების" რედაქტორს ბ. ივანე მაჩაბელს, ყველა ქართველ მწერლებსა და ჟურნალისტებს, რომელთა დახმარებითაც ასრულდა დღევანდელი ქველმოქმედება. ვმადლობ აგრეთვე ქართველ არტისტებს, რომელთა ჩინებულმა თამაშმა ასე საუცხოოდ დაგვატკბო და ამიტომ ტაშის კვრა დაიმსახურა".

ამის შემდეგ წამოდგა ილია ჭავჭავაძე და თქვა: „დღეს ჩვენმა პატარა ლიტერატურამ, პატარა თეატრმა, ამ პაწია გაზეთის პატარა რედაქციამ მიიღო დიდი მადლობა პატარა ძღვენისათვის, დიდი ერის წარმომადგენელთაგან.

მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერების მშვენიერებას და სავსებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედის სიბრძნეზედაც ეჭვს შეიტანდით.

ნუთუ ქვეყანა მით უფრო მშვენიერი, მდიდარი და სავსე არ არის, რომ დიდს, უშველებელ მუხასთან პატარა მდელოზე პატარა იაც ჰყვავის, თავისი საკუთარი ფერითა და სურნელებით, ანუ თვალუწვდენელი ზღვისა და ოკეანის ტალღების გრიალთან იმის ნელი ჩუხჩუხი და კამკამი პატარა წყაროსიც. ბატონი კონსულის სიტყვამ დაგვიმტკიცა, რომ დიდისა და პატარის შუაც შესაძლოა ხიდი გაიდოს.

ჩვენ გვიხარია, როცა ჩვენში მცხოვრები ფრანგი თავის გაჭირვებას შეიმსუბუქებს თავის მოძმეთა სულგრძელი შემწეობით, ამ შემთხვევაში ჩვენც გვიდევს ცოტაოდენი წვლილი. ჩვენ ვწუხვართ, რომ ჩვენი სიღარიბის გამო, ჩვენს სიხამოვნებას გულისას ვერ შეუწყო ეს სიპატარავე ჩვენი ძღვენისა. მაგრამ მაინც მოგვირთმევია ეს პატარა ძღვენი და გვსურს ირწმუნოთ, რომ ამ პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოება დიდი გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა. აი, აქაც დიდი და პატარა, დიდი გრძნობა და პატარა ერი, ერთმანეთის შემავსებელნი, ერთმანეთს ამკობს და ამშვენიერებს.

ჩვენ ღარიბნი ვართ ოქროთი და ვერცხლით, მაგრამ მდიდარნი ვართ გულით და თუ ოქრო და ვერცხლი საუნჯეა ხორცისა, გულის სიმდიდრე ხომ საუნჯეა სულისა. აი, ამ სიმდიდრით მოგვირთმევია ჩვენი ღარიბი ძღვენი თქვენთა გაჭირვებულ ძმათა სამშველად.

შესაწირავს შეწირვას სულ-გრძელობა უნდა განა მარტო შემწირველისა, არამედ იმის სულ-გრძელობაც ვინც შესაწირავს მიიღებს. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ხელმოკლეობას ქართველისას წინ დახვდა ეს დიდი სულ-გრძელობა ფრანგისა, სულ-გრძელობა, რომელიც კეთილ-მოქმედების საქმეში ფასსა სდებს იმას კი არა რომ სავსე მუჭა მოაქვს სამშველად გამოწვდილ ხელსა, არამედ იმ მზადყოფნას, იმ ხალისს, იმ ხითხით გულისას, რომელმაც თვით ხელი გამოაწვდევინა და რომელიც მეორეოდენს ძღვენსაც ძვირფასად ხდის".

გაზეთი „დროება" აღნიშნავს, რომ ილიას ამ მშვენიერი სიტყვის შემდეგ, რომელსაც დამსწრე საზოგადოება დიდი აღტაცებით შეხვდა, წამოდგა აკაკი და არანაკლებ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, — მაგრამ იქვე დასძენს, — „რომელსაც იმედი გვაქვს (?) ხვალ დავბეჭდავთ". სამწუხაროდ „დროების" კითხვის ნიშანი, ეჭვი გამართლდა. აკაკის ეს სიტყვა აღარ დაიბეჭდა, და შეიძლება დაიკარგულიცაა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა საშინელ, აუტანელ ცენზურულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენს მწერლებს.

სუფრაზე ნახსენები იქნა შოთა რუსთაველის დიადი სახელი, რომელმაც ილიას მოკლე სიტყვა გამოიწვია. მან თქვა: „მე დღეს როგორღაც წილად მერგო, როცა დიდს იხსენიებენ, იქ პატარაც მოვიხსენიო. როდესაც პირველყოფილი კაცობრიობა მზის ბრწყინვალებით განცვიფრებული, თაყვანსა სცემდა მზეს, ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივს სცემდა მთვარესაც, რომელსაც მარტო მზის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანი თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენგან დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვით მზის შუქით ნათობს მთვარე, ისევე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენი ერის მოღვაწეთა შორის. ღმერთმა ადღეგრძელოს მეუნარგია".

აი, როგორ სწორად ესმოდათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელს ხალხთა ურთიერთობის დიდი საკითხი.

ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი ერთ-ერთი ძვირფასი რგოლია იმ დიდი ჯაჭვისა, რომელსაც ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა ეწოდება.

დავით ფანჩულიძე

ნაშრომი პოეტურ ეპოსზე

გამომცემლობა „მეცნიერებამ" მკითხველს მიაწოდა ნოდარ ალანიას გამოკვლევა — „XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოემა."

ნაშრომის შესავალში ავტორი მოკლედ განიხილავს პოეტური ეპოსის — პოემის და კერძოდ, ქართული პოემის განვითარების გზებს. იგი აქვე ჩერდება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის იდეურ-შინაარსობრივი ხასიათის განმსაზღვრელ სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებზე.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას თუ როგორ ხდება ძველ ლიტერატურულ ფორმებში ახალი შინაარსის დანერგვა, მხატვრული სახის აგების მეთოდის ევოლუცია, სიუჟეტის, ხასიათის ლიტერატურული ჟანრის კომპოზიციური გარდაქმნა, ახალი სტილისტური და მეტრიკული ფორმების დამკვიდრება.

ნ. ალანიას ნაშრომშიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეტური ეპოსის საუკეთესო ნიმუშების — ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", გ. ერისთავის „ოსური მოთხრობის", გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს" და დ. მაჩაბლის გამოუქვეყნებელი პოემის „მთიულის" — იდეურ-მხატვრული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ის ჟანრული თავისებურებანი, რაც ამ ეპოქის პოემებს ახასიათებს და რითაც ისინი განსხვავდებიან წინა პერიოდის ქართული პოემებისაგან.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართულმა პოემამ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ვითარებაში დაკარგა მთელი რიგი ნიშნებისა, რაც მას ძველ ან, როგორც უწოდებენ, კლასიკურ ხანაში გააჩნდა. ახალი დროის პოემამ დაარღვია ძველი პოემის თავისებურებათა რკალი და თავისი გამოხატვის საგნად აქცია პიროვნება — ადამიანი, მისი ცხოვრება და შინაგანი სულიერი სამყარო. ამ პერიოდის ე. წ. რომანტიულ პოემაში, გარდა გამოსახვის საგნისა, შეიცვალა თხრობის კილო, ასახული ობიექტისადმი ავტორის დამოკიდებულების ხასიათი.

რომანტიკოსებმა არც ე. წ. ავტორის „უჩინარობის" პრინციპი გაიზიარეს. მათ პოემებში ავტორი ობიექტურ, ანონიმურ მდგომარეობაში კი არ იმყოფება, როგორც ეს ძველი დროის პოემებს ახასიათებდათ, არამედ მკაფიოდ ამჟღავნებს საკუთარ თვალსაზრისს პოემაში ასახული მოქმედების გმირისა და მოვლენის მიმართ.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოემისათვის დამახასიათებელი ხდება სოციალური სინამდვილის ასახვა, უკუღმართი გარემოს წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლის ჩვენება.

ქართული პოემის განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპი სამართლიანად უკავშირდება ნ. ბარათაშვილის სახელს. ნ. ბარათაშვილმა საბოლოოდ დაარღვია ტრადიციული პოეტური ფორმები და ახალი შინაარსის გადმოსაცემად სრულიად ახალი გამომსახველობითი ფორმები დაამკვიდრა. მან თავისი უკვდავი პოემით („ბედი ქართლისა") სათავე დაუდო ახალ ქართულ პოეტურ ეპოსს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ნაშრომში ნ. ბარათაშვილის დიდებული ქმნილება ვრცლადაა განხილული. მასალის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ბარათაშვილის, როგორც ეპიკოსის, ნოვატორობის არსი.

ნაშრომის ავტორი გ. ერისთავის პოემას „ოსური მოთხრობა ანუ ზაირე და ყაზიმათ" თვლის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეტური ეპოსის ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენად. ამ ნაწარმოებში ეროვნული მოტივი XIX საუკუნისათვის პირველად არის ასე ნათლად წინ წამოწეული, ამით იგი მართლაც უშუალო წინამორბედია რეალისტური პოემისა, როგორც იდეური, ისე კომპოზიციური თავისებურებებით და სტილური ნიშნებით.

ნ. ალანიას წიგნში ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად არის საფუძვლიანად შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მართლაც რომ „უსამართლოდ დავიწყებული და გამორჩენილი" პოეტის დ. მაჩაბლის პოემა „მთიული". ეს პოემა, ისე როგორც მთელი რიგი ნაწარმოებები პოეტისა, უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. იგი არც ავტორის სიცოცხლეში და არც მის შემდეგ არ გამოქვეყნებულა, ამიტომ ჩვენი აზრით, მკვლევარი სწორად იქცევა, როცა ამ ნაწარმოებზე განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება. დ. მაჩაბლის „მთიულს" გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უთუოდ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დ. მაჩაბელი ერთი პირველთაგანია ქართველ შემოქმედთა შორის, რომელმაც პოემა „მთიულში" გულწრფელად დაიტირა ა. ს. პუშკინისა და ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის სიცოცხლის ტრაგიკული აღსასრული. პუშკინისა და ბესტუჟევ-მარლინსკის (ამ უკანასკნელს, როგორც პოემიდან ჩანს, დ. მაჩაბელი პირადადაც იცნობდა) უდროო სიკვდილი „მდიდარი რუსთა ლიტერატურის" აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნია ქართველმა პოეტმა.

სარეცენზიო წიგნში საჭირო სისრულითაა გაანალიზებული გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს".

ნოდარ ალანიას „XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოემა" მკითხველს აცნობს ამ პერიოდის პოეტური ეპოსის თავისებურებებს.

შალვა რატიანი

პატარა რეცენზიები

„ჰიმნი ტროპიკების მზეს"

გაბრიელა მისტრალის სახელმა და ხვედრიანმა ბიოგრაფიამ უფრო ადრე ჩამოაღწია საქართველოში, ვიდრე მისმა ლექსებმა. პოეზიის მოყვარულებმა იცოდნენ, რომ ლათინურ ამერიკაში, მას, ქალთა შორის პირველს მიენიჭა ნობელის პრემია, იცოდნენ, რომ სანტიაგოში ყოველწლიურად ეწყობოდა მისი სახელობის ლიტერატურული კონკურსი, და აი ბოლოს, „წმინდა გაბრიელა მისტრალის" ლექსები ქართულად აჟღერდა.

ერთ ცნობილ პოეტს თხოვეს თავისი ბიოგრაფია დაეწერა. მან მხოლოდ მნიშვნელოვანი თარიღები ჩამოწერა და თქვა: „დანარჩენს ჩემს ლექსებში ნახავთო". რატომღაც ეს გამახსენდა, როცა ვკითხულობდი გაბრიელა მისტრალის ლექსებს. მისი ლექსები მისი ცხოვრებისა და სულის ბიოგრაფიაა.

მთავარი, რაც მკითხველს ამ ლექსებში ხიბლავს, ეს არის პოეტის უშუალობა. მკითხველთან იგი გულწრფელია წუხილშიც და სიხარულშიც, როცა გული უტირებს იგი ნამდვილად ტირის. წუხს და არ ცდილობს ხელოვნური განწყობილება „კლასიკური სტრიქონებით" დაფაროს:

ეს მწუხარების ხატია, ზღვის
წყალზე მწარე
და ერთად ერთი,
ცა არის სავსე ჩრდილებით და
მიბნელებს თვალებს.
მიშველე ღმერთო.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაბრიელა მისტრალი წუხილისა და ცრემლების პოეტია, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მის ლექსებს სიმღერებად არ აიტაცებდნენ მთელ ლათინურ ამერიკაში. გაბრიელა მისტრალი მზისა და სიხარულის პოეტია, ამ სიხარულშიც პირდაპირი და გულწრფელია პოეტი. ზოგჯერ ოდნავ აჩქარებული ტონით დაწერილი სტრიქონებიც ბუნებრივია და არასოდეს პათეტიკაში არ გადადის.

მისი „ჰიმნი ტროპიკების მზეს" ხომ სიცოცხლის ნამდვილი საგალობელია. რადგან ამ ლექსზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შესანიშნავად ჟღერს ლექსის თარგმანი.

შენ მზე ხარ ველის და წყაროების,
ჭალამ, მინდვრებმა შეგარქვეს ღმერთი,
შენ ნათელ ხოხობს ჰგავხარ
მოსვლისას,
წასვლისას ხდები ხოხობი თეთრი.

მთელი ლექსი ასე დახვეწილად და ფაქიზად არის თარგმნილი, ძალზე კარგად იკითხება: „ფერხული ეკვადორის ხეობას ირხევის" (წინასიტყვაობაში „ფერხული" „ხორუმითაა" შეცვლილი, ჩემის აზრით პირველი უფრო სწორია). მთარგმნელი ლია ჭავჭავაძე კარგად იცნობს ქართული ლექსის ხასიათს, მის ხმოვანებას, გამოყენებული აქვს ქართული ლექსის მრავალნაირი რიტმი, ზომა, შედარებები, მაგალითად: „მე მიტოვებულ შადრევანს ვგავარ — შადრევანს, ხმა რომ ქარმა წარსტაცა", „ჩვენსა ფარდით ჩამოფარებული და ირემივით გაქვს და მოგდევს", „როგორც ხეა ღამით, ჩემი გული იხრება და კვნესის". აქვე უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი გაუმართავი სტრიქონები და სიტყვები, რომლებიც გვხვდება თარგმანში. მაგალითად, ცოტა გაუგებარი გვეჩვენება „როგორც მუნჯ ქალში, მეძინება უშვილო დედას", არც „მლოცველის დაძინებაა" სწორი. მე მგონი, „სიმღერით დაძინება" აჯობებდა, „ცისფერ ველზევიც" არ ისმის კარგად.

ასევე ცუდად ჟღერს „და პაეროვანს ნაზ და ცისფერ მთვარის ქვეშე". ამ ერთ „ქვეშე" ამ კონტექსტში კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ როცა ვკითხულობთ „სამლოცველო ქარის ქვეშე" და შემდეგ „დილლების ქვეშე", ეს უკვე მეტის მეტია.

მიუხედავად ამ მცირეოდენი შენიშვნისა, მკითხველი მადლობის მეტს არაფერს ეთქმის გამომცემლობისა და ლია ჭავჭავაძის მიმართ, რომელმაც ქართულად აალღერა „მსოფლიოს ყველა ბავშვის დედის" შესანიშნავი სტრიქონები.

ნოდარ ჯალაღონია

გაბრიელა მისტრალი — „ჰიმნი ტროპიკების მზეს". „ლიტერატურა და ხელოვნება". 1965 წ.

შეხვედრები ცხოვრების გზებზე

მემუარისტიკაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს კარგ თხრობას. მაგრამ ეს მაინც არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ამ შემთხვევაში მთავარია არა ის, თუ როგორ ჰყვები, არამედ ის, თუ რას გვიამბობ და რა ცხოვრებით გვცხოვრია, რა გადაგვხდენია ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. ამ მხრივ კი ვალი მოხდილი აქვს ვ. ძიძიგურს, მოღვაწეს, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხის, საზოგადოების სამსახურში გაუტარებია. შეიძლება დღეს სვანეთისა თუ ლეჩხუმის შორეულ სოფლებში განათლების შეტანასა და ახალგაზრდობის აღზრდაზე ლაპარაკი ვინმეს უბრალოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ საკმარისია წარმოვიდგინოთ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟი, როცა ამ მხარეში სანთლით იყო საძებნი განათლებული ადამიანი, ან გავიხსენოთ ერთი შეხედვით უბრალო რამ — პატარა იმერულ სოფელში სამკითხველოს დაარსებისათვის ჟურნალ „განათლების" საშუალებით ბრძოლა, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ამ ადამიანის სულიერი სამყარო, მისი ცხოვრების მიზანი.

ვ. ძიძიგურის წიგნის მნიშვნელოვან ღირსებად ისიც მიგვაჩნია, რომ „გზებსა და ადამიანებში", როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, დავინახეთ, რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე დრო. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟის იმერეთის თუ სამეგრელოს ცხოვრება აქ აღწერილია უღრესად მახვილი თვალით, ამავე დროს წიგნში თავმოყრილ წერილებში იგრძნობა ალღო და ენერგია იმ ინტელიგენტისა, რომელიც სოფლის მომავალზე ფიქრობს და სჯის, რომ ესა თუ ის პატარა სოფელი მთელი [illegible] საქართველოს ცხოვრებას უმაგრებს მხარს.

ყოველ ამ მოვლენას ვარლამ ძიძიგურის — პედაგოგისა და მოქალაქის — ცხოვრება მეტად საინტერესო გახადა. არ შეიძლება დიდი ინტერესით არ წაიკითხოთ ის თავები, სადაც აღწერილია გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწის მ. ი. კალინინის [illegible] სოფელ [illegible], სახალხო სახლის მშენებლობა, შეხვედრები ნიკო ნიკოლაძესთან და ნიკო მართან. ყოველივე ეს ხომ მნიშვნელოვანი დოკუმენტებია, რომლებიც მეტყველებენ უფროსი თაობის ბრძოლაზე ქართული კულტურისა და მეცნიერების მომძლავრებისათვის.

მემუარული ჟანრის ფარგლებს სცილდება წიგნში შესული წერილები სვანეთზე. მათ ფართო მეცნიერული, ეთნოგრაფიული ღირებულებაც აქვთ. აქ აღწერილია ჩვენი საუკუნის დამდეგის სვანური სოფელი, ნათლად ვხედავთ ქვეყანას, ვხედავთ ადამიანებს, მათს ხასიათებსა და ზნე-ჩვეულებებს. ეს კი უფრო ზრდის ჩვენს ინტერესს წიგნისადმი, ზრდის ჩვენს პატივისცემას ამ კეთილშობილი და თავდადებული ადამიანისადმი.

ვ. ძიძიგური მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე (გარდაიცვალა 1957 წელს) სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. იგი ავტორია ბევრი ლექსისა, საგაზეთო წერილისა და პედაგოგიური ხასიათის წიგნისა, მაგრამ ეს უკანასკნელი წიგნი თავისი შემეცნებითი ღირებულებით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, ვფიქრობთ, ქართული პედაგოგიკის ისტორიისა და ჩვენი ინტელიგენციის პატრიოტიზმის საკითხის შესწავლისას ვ. ძიძიგურის პიროვნებასა და საქმიანობას ვერ აუვლით გვერდს, რადგან ამ ადამიანში თავმოყრილი ყოფილა ორი დიდი თვისება — სიყვარული სამშობლოსი და სიყვარული შრომისა.

ო. მარიამიძე

ვ. ძიძიგური — „გზები და ადამიანები". „ნაკადული", 1965 წ.

ლია სტურუა

* * *

ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნზე „პალესტინა, პალესტინა".

ამ საოცარი ლექსების უკან
დგას ძველი მცხეთა და ენატრება
უზარმაზარი ყვითელი შუქი
პროჟექტორების, მთვარის,
სანთლების...
ხოლო ზარებს იჭრიან ვენებს —
ბერების ოფლით გაჟღენთილ თოკებს,
უშველებელი წითელი ენით
ჩემს გაოგნებულ დუმილს ლოკავენ.
და ტკივილამდე მიახლოვდება
ჩემი სისხლის და ხორცის ნაწილი —
თამარ-სიმაღლე, თამარ-გოდება
ჯვარზე გაკრული ლურჯი ნაწნავით.
უბრალო კერა, თბილი ნაცარი,
ძიება რთული, კეთილი ღმერთის
ასე უბრალოდ, ასე კაცურად
როგორ შეიძლო ყველასთვის გეთქვა:
რომ ძე კაცისა დგას შუა მზეში,
წყურვილი კლავს და უშრება ყელი.
მდინარეებით აუსვით პირი
და [illegible] მისან უწოდეთ როგორც...
ისე უბრალოდ აინთო სულში,
როგორც ღვივდება ბერის მარცვალი
უზარმაზარი ყვითელი შუქი
მისი ოდესღაც ჩამქრალი სანთლის,
მისი ოდესღაც დამჭკნარი ფრთების
სიყვარულს გამყვა ლოცვა, გოდება.
ასეთი ლექსი, როდესაც გიჩნდება,
სამშობლოსავით მოგაგონდება.

ნოველები

(დასასრული)

...თვალთცნობა, მაგრამ კალოშების ამოცნობა საჯაროდ, ამასთან, რაც მთავარია თითქოს სხვათა შორის ხდებოდა და მაშასადამე დამსწრეებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამიტომ მან ერთადერთმა ლამის სასოწარკვეთით გასტირა ამ საერთო, სახალხო დანაკარგს.

მოულოდნელად კი ბედმა გაუღიმა, ქალაქში ახლა თითქმის სრულიად ერთნაირი, ერთი ფერისა და ხარისხის მუხუჭი საწვიმარი ლაბადები მოზღვავდა და კალოშის საბედისწერო გადავარდნის ჟამიდან უნებურად დარჩენილი მკერავივით დაბნეული, ამასთან დაეჭვებული მოქალაქის გამძაფრებული მხედველობითი მეხსიერება მათი მეოხებით კვლავ ალორძინდა და ახლებურადაც გაიფურჩქნა. ახლა იგი მრავალ, თითქმის სრულიად ერთნაირ, ერთი ფერისა და ერთი ხარისხის მუხუჭ საწვიმარ ლაბადებს შორის ერთი უცაბედი შეხედვითაც მყისვე შეუცდომლივ ჭამოარჩევს საკიდარზე თავისას, რითაც სასწაულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრეებზე, უმეტესად ქალებსა და ბავშვებზე, და თვითონ კი კვლავინდებურად გულდაოკებული და კმაყოფილია, რადგან, თუმცა ირაოა, თუმცა ოჯახის სითბო არ იცის, არც დიდ საქმეებს სჩადის, მაგრამ თავის დაწესებულებაში თავის სამსახურს ასე თუ ისე იოლ ეწევა და ამასთან კიდევ თანამოქალაქეთა შორის რაიმით მაინც გამოირჩევა.

ᲜᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲠᲘ

გასუქებულხართ, მოკეთებულხართ, ისე ეტყვის ზოგჯერ კაცი კაცს, თითქოს გასუქებულსა და მოკეთებულს გასუქებითა და მოკეთებით დანაშაული ჩაედინოს.

შვებულების შემდეგ სამსახურში პირველად გასული თანამშრომელიც, ჩუმი და მორცხვი მამაკაცი ამრიგად და ერთსულოვნად შეეგებნენ სინდისზე პატარა დაწესებულებაში.

— გასუქებულხარ.

— მოკეთებულხარ.

— ბლომად მოგიმატნია.

— ძლივს და დაბაჯბაჯებ.

ნაშვებულებარი კაცი მეტად დამორცხვებულიყო, ენა თითქოს სულაც დაეკარგოდა და თანამშრომელთა წინაშე მართლაც დამნაშავესავით თავჩაქინდრული მხოლოდ მოკრძალებით იღიმებოდა. თუმცა თვითეული სიტყვა მას საქებლად იყო ნათქვამი, მაგრამ თვითეულივე სამდურავივითაც გაისმოდა და გულის კუნჭულში ერთ ტკივილს უჩენდა. ხოლო ნაღვლიანობით იხსენებდა სანატორიუმს, სადაც ეს-ეს არის დაისვენა, დირექტორს და უნებლიეთ, თუმცა უხმოდ უპირისპირებდა მას თავისი პატარა დაწესებულების თანამშრომელთ.

სანატორიუმის დირექტორი მზრუნველი და გულისხმიერი კაცი იყო და სადილისა თუ ვახშმის ორიოდე წუთით დაგვიანება რა საქმეა, უამინდობის გამოც თითქმის ბოდიშს იხდიდა დამსვენებელთა წინაშე, რაკი ზღვისა და ტყის მადლით გულის მოჯერება აკლდებოდათ. შვებულებაში მყოფმა თანამშრომელმაც უპირველესად მისი წყალობით დაისვენა სულიერად და სხეულებრივ, თორემ მომატებით მისხალიც არ მოუმატნია და არც სჭირდებოდა. ეს იცოდა პირადად მან და იცოდა სანატორიუმის დირექტორმა, მაგრამ თანამშრომელთა რწმენებაში, გინდა თუ არა გასუქებულხარო, მოკეთებულხარო, ბლომად მოგიმატნიაო, ძლივს და დაბაჯბაჯებო, სიზუსტე არ შეუტანია, რომ ისინი არ გაეწბილებინა.

თან კიდევ დროსაც ანგარიში უნდა გაეწიოდა, გულმოდგინე მუშაკი იყო და ერთი სული ჰქონდა, ვიდრე თავის საწერ მაგიდას მიუჯდებოდა.

ᲣᲪᲮᲝ ᲔᲚᲤᲔᲠᲘ

სოფელში მნიშვნელოვანი შეკრება ტარდებოდა ქალაქიდან მოწვეული სტუმრების დასწრებით. სტუმრებს შორის კი იყო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგის კვლევითი ინსტიტუტის ჯერ თითქმის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკი, რომელიც თვრამეტ-ოცი წლის წინათ სწორედ ამ, ახლა თათბირისათვის არჩეულ სოფელში მცხოვრებ ბებიასა და პაპას რამდენჯერმე მაინც სწვევია, ანუ ერთგვარად აქაურად ჩაითვლებოდა.

მაგრამ, საერთოდ რომელიმე, კერძოდ კი ამ სოფელთან მისი რაიმედაგვარი კავშირის შესახებ არც თვით სოფლის მესვეურებმა, არც კიდევ მით უმეტეს სხვა სტუმრებმა, რომლებთანაც ერთად ჩამოვიდა, არაფერი იცოდნენ.

იგი გარეგნულად თითქოსდა სრულიად უდრტვინველი იჯდა ხალხით გაჭედილ ჭერდაბალ დარბაზში, თითქოს ისმენდა კიდევაც შეკრების მონაწილეთა საუბარს, მაგრამ სინამდვილეში მთელი გულისყურით სხვაგან იყო. ბებია და პაპა დიდიხანია აღარ იყვნენ, სწორედ იმდენი ხანია აღარ იყვნენ ამ ქვეყნად, რაც მას აქ ფეხი აღარ ჩამოედგა, ძველთაძველი ყორეებით ნაგები და მთელი თავისი იერით ერთობ სოფლური, თუმცაღა უპირველესად სწორედ ამ ნიშნის გამო ტკბილსახსოვარი პატარა სახლიცა და ნიადაგ სათუთად მოვლილი კარმიდამოც უკვე სხვას, მისთვის სრულიად უცნობ ადამიანებს ეკუთვნოდა, მაგრამ იქაურობის ერთხელაც, იქნებ საბოლოოდ მონახულება კი მაინც დაუცხრომლად აღძვროდა.

შეხვედრებისთანავე კი დროც იხელთა, ყველას თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა და ნაცნობ ორღობეს ჩაუყვა, თითქოს ჩაპატარავებულ რუს, რომელსაც წინათ, ბავშვობაში, ქანითა და ნახტომით თუ გადაევლებოდა, ნაბიჯგადაუდგენლივ გადაალაჯა და ვენახებს შორის ჩაბლარდნულ ნედლ ბილიკს დაადგა, სადაც, აგრეთვე წინათ, რა თქმა უნდა ფეხშიშველა აცანცალებული ბიჭი ხშირად ქუსლში შეპობილ ეკალს მწარედ აუკივლებია.

ბილიკმა იგი პაპისეულ კარმიდამოსთან გაიყვანა, თუმცა გუმანით და მიხვდა, რომ იქ იყო, საითკენაც მიილტვოდა, თორემ ძველის ნიშანწყალი აღარაფერი შერჩენოდა. მწვანიანის მაგივრად ხრეშით მოტკეპნილი ეზო დახვდა, ჭერამა, თუთისა, პანტისა და კაკლის ხეების ნაცვლად — მხოლოდ ნაძვის ხეები, თხილისა და ტირიფის წნულებით შემოსალტული ღობის ნაცვლად — ქვიტკირის გალავანი, ხოლო თვით დაბალი და მყუდრო სახლის ადგილზე კი აგურით ნაგები და თუნუქგადახურული უცხო და თითქოს მეტიჩარა ორსართულიანი შენობა. მაინც ყოველივე უფრო თვალმაზარა და დახვეწილი იყო, ალბათ უფრო თვალმაზარა და დახვეწილი, მოხდენილიც და მოხერხებულიც, ვიდრე ძველი სახლი და მთელი კარმიდამოც, მაგრამ საქმეც სწორედ ისაში იყო, რომ ძველს მაინც თავისი სრულიად განსაკუთრებული ეშხი და მიმზიდველობა მოუპოვებოდა და გაპრანჭული, გაქალაქელებული იერი კი გარემოს როგორღაც ვერ ერწყმოდა.

განუზომლად საყვარელია, ძლიერი ტკბილსავსე და გაუმაძღრებლივ საკუთრივ განსაცდელი სიხარულის აღმძვრელია სოფლური ადგილები ქალაქად. მაგრამ სულაც არ უხდება კი მაინც მეტისმეტი გაქალაქურობა სოფლის კარმიდამოს.

დამშვენდეს, დაიხვეწოს, თანამედროვე ცხოვრების კვალობაზე მეტად მოწესრიგდეს და გულმისასვლელი გახდეს ყველა ჩვენი სოფელი, ოღონდ სოფელს სოფლური მაინც შერჩეს!

ყოფილმა მოარდაჟევე ბიჭმა, აწ ჭაღარადამჯდარმა ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა არ იცოდა ვინ ცხოვრობდა ახლა პაპისეული სახლის ადგილზე შემაღლებულ, ოღონდ სრულიად შემთვალეწებულ თავმოწონე შენობაში, არც ეზოზე, აივანსა თუ ხეივნებში ვინმე გამოჩენილა, მაგრამ რა საჭიროებანი გარემოება იყო ეს დაბლა თუ მაღლა რომელიმე კარზე მიკაკუნებისა თუ მასპინძლის დაძახებით ჯერმოხმობისათვის?

კაცი, ვინც არ უნდა იყოს და როგორი უბრალო თუ გამოჩენებული იერის სახლი არ უნდა ედგეს ჩვენს სოფელში, ერთნაირი გულითადობით გამოეგებება მანამდე თვალითაც უნახავ, სულაც უცხო ადამიანსაც კი და სანაქებო მასპინძლობასაც გაუწევს მას.

შეუმჩნეველი სტუმარი კი უჩუმრადვე, როგორც მოვიდა, გასცილდა კარმიდამოს. რად უნდოდა რომ მისტუმრებოდა ახალმოსახლეთ, მათ ოთახებში ხომ აღარც ძველებური ქართული მრგვალი ფილაქანი იქნებოდა გაგებული და არც კედლის ძირას ნოტიო ადგილზე სველი კოკა და გოზაური იდგმებოდა გამაჯარებლად.

გულდაწყვეტილი და ნაღვლიანი იყო იგი. ნეტავი არ ენახა, საითკენაც დაუცხრომლად მიილტვოდა, ნეტავი საყვარელი კარმიდამო ძველივე სადა იერით ჩარჩენოდა მეხსიერებაში და თუმცა და ახალი, უმჯობესი, მაგრამ სოფლურ სახეს მოკლებული სურათი არ შენაცვლებოდა მას.

უკვე ისევ ნედლ ბილიკს მიჰყვებოდა პირქვე.

ნეტავი კვლავინდებურად ფეხშიშველა გავლის საშუალება ჰქონოდა, თუნდაც ეკალიც შესობოდა ფეხში და უკვე მწარედ კი არ შეჰკივლებდა, მადლიერად გაიცინებდა.

ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ, ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ...

„ᲞᲘᲔᲠᲘ — ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ" ᲒᲐᲛᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ კინოსტუდიის ამ ერთ-ერთ უკანასკნელ ნამუშევარზე გვსურს ცოტა ვრცლად შევჩერდეთ, რადგან ეს ფილმი თავისი კარგი და ცუდი მხარეებით სამაგალითოდ მიგვაჩნია მიმდინარე წელს შექმნილ ფილმებიდან.

კინემატოგრაფიაში კარგა ხანია მოვიდა ახალი ჟანრი. მას ლირიკული კომედიის სახელით ნათლავენ. ზოგჯერ კი ლირიკულ კომედიას უწოდებენ ფილმს, რომელიც ვერ ამაღლდა ჭეშმარიტ კომედიამდე, რომელშიც კომედიისათვის დამახასიათებელი სატირულ-იუმორისტული ფერების სიმწვავე გმირის ბუნებაში [illegible] და მისი „ორიგინალური" შეხედულებების კამერულმა ინტერპრეტაციამ დაჩრდილა. ამიტომ უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნილ ზოგ კინოკომედიას ჟანრობრივი გაურკვევლობა ახასიათებს.

„პიერი — მილიციის თანამშრომელი" კინოკომედიაა, და რომ ჯეროვანი შესაძლებლობა გამოეყენებინათ, შეიძლებოდა იგი კარგ კინონაწარმოებად ქცეულიყო, მით უმეტეს, რომ ფილმი დადგა ისეთმა ცნობილმა და ნიჭიერმა რეჟისორმა როგორიც დავით რონდელია.

დ. რონდელს შექმნილი აქვს კარგი ქართული კინოკომედია „დაკარგული სამოთხე", ამ პირველი შესანიშნავი კინოკომედიის შემდეგ ოცდახუთი წლის განმავლობაში დ. რონდელს თავისი რეჟისორული კალამი კომედიურ ჟანრში არ უცდია. „პიერი" მისი მეორე კინოკომედიაა. მაგრამ სარეცენზიო ფილმი გაცილებით დაბლა დგას „დაკარგულ სამოთხეზე", გაცილებით დაბლა დგას თვით რეჟისორის შემოქმედებით შესაძლებლობებზე და ამაში მთავარი ბრალი ჩვენის აზრით სცენარს მიუძღვის.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ კინემატოგრაფს კინოდრამატურგი სჭირდება, რომ სცენარის შექმნა, გარდა მხატვრული ოსტატობისა, კინოს სპეციფიკის და სხვადასხვა ტექნიკური მხარეების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი მწერლის ცდა, დაეწერა სცენარი, ხშირად მარცხით დამთავრებულა. დ. რონდელმა დასადგმელად ზემოთნახსენები სცენარი რომ აირჩია, ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენში კინოკომედიისთვის სრულყოფილი სცენარი არ იწერება. ამ საქმეში სცოდავს არამარტო სასცენარო განყოფილება, არამედ მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებაც. მწერლებს კინოსცენარის წერა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ, რომელსაც მოცლილობისას შეიძლება მოჰკიდო ხელი და ისიც [illegible] შემდეგ. სცენარისტობის მეორეხარისხოვან საქმედ მიჩნევა, ბუნებრივია, ვერასოდეს ვერ მოგვცემს პირველხარისხოვან სცენარს. ლიტერატურული ჟურნალები კინოსცენარს არ ბეჭდავენ. არ ტარდება ფართო მასშტაბის კამათი ფილმის ამ ერთ-ერთ უმთავრეს და უპირველეს კომპონენტზე. წარმოებამდე სცენარის ფართო განხილვას კი შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს მომავალ ფილმს. ამის მაგალითიც გვაქვს. მიმდინარე წლის დასაწყისში რ. ჩხეიძემ და ს. ჟღენტმა უნივერსიტეტში მოიტანეს „ჯარისკაცის მამის" სცენარი და მრავალრიცხოვან აუდიტორიას თხოვეს ელაპარაკათ მის ავკარგზე. რაოდენ სასიამოვნო იყო ჩვენთვისაც იმის გაგება, რომ უკვე გადაღებულ ფილმში იმ აუდიტორიის მიერ გამოთქმული ბევრი შენიშვნა იყო გათვალისწინებული. სხვა შემთხვევაში კი ფილმის სცენარი ერთგვარად „გასაიდუმლოებული" და მის შესახებ მხოლოდ ორიოდე სიტყვით გვაუწყებენ საგაზეთო ინფორმაციები.

ლ. ჭელიძის სცენარის სიუჟეტს არ გააჩნია ერთიანი კომიკური საყრდენი. მიუხედავად იმისა, რომ სურათში არის სიყვარულიც და იმედების გაცრუებაც, მძარცველებთან შეხვედრაც და უბედური შემთხვევაც, მაყურებელს მაინც ეჩვენება, რომ ფილმში არაფერი არ ხდება. პიერის ირგვლივ მომხდარი ყველა ამბავი, ყველა მოქმედი პირი ცალ-ცალკეა და ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებული მოქმედების ლოგიკურ დეტალს კი არ წარმოადგენს, არამედ მილიციელის მოუხეშავი ყოველდღიურობის ამსახველი კადრების უბრალო, უსისტემო კონგლომერატს.

დრამატურგიას აქვს ერთი დაუწერელი, რკინის კანონი — მას აუცილებლად სჭირდება სიუჟეტი და სიუჟეტის უქონლობას ვერ დაფარავს ვერც ცალმხრივად გაგებული „ცხოვრების ნაკადის" თეორია და ვერც თავისთავად საინტერესო სცენების მოხაზვა, სიმბოლური დაკავშირება. „პიერი — მილიციის თანამშრომელი" სიუჟეტური ფილმი არ არის, მაგრამ მის სიუჟეტს ორი ნაკლი ახასიათებს. ჯერ ერთი იგი სუსტია, დრამატურგიულად შეუკვრელია და მეორეც, ეს სიუჟეტი არავითარ შემთხვევაში არ არის კომედიური. პიერი, რომელსაც შესანიშნავად თამაშობს ი. კაკიანი, ექსცენტრიული კომედიების მხიარული პერსონაჟი არ არის. პიერი ცოტათი მორცხვი და გაუბედავი, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ რთული ბუნების კაცია. მას პირდაპირი, უცერემონიო ურთიერთობა აქვს ადამიანებთან და სხვებისგანაც ამას მოითხოვს. სცენარისტს სწორედ პიერის ხასიათის ამ მხარეზე უნდა აეგო საპირისპირო კომიკური სიტუაცია. მაგალითად, მხატვრულად უსუსურია პიერისა და მისი მეგობრის რეზოს ურთიერთობა. ეს მეგობრობა თავიდანვე ნაძალადევი, თავსმოხვეულია, ხელოვნური მეგობრობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ბოლომდე ასეთივე რჩება. მეგობრებმა არ იციან რა უთხრან ერთმანეთს. მათ აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო, სალაპარაკო, სადაო, გადასაწყვეტი. ასევე დაუმთავრებელი და უსიუჟეტოა ფილმის რომანული ხაზი ნანის (ლ. მესხი) და პიერის ურთიერთობა. ერთი სიტყვით, სცენარისტის მიერ პიერისათვის მინიჭებული საკმაოდ საინტერესო და თვითმყოფადი ხასიათი კომედიაში არ თამაშდება. სამაგიეროდ სცენარისტი საკმაოდ ძველ და პრიმიტიულ გზას მიმართავს. პიერმა რაიმე გმირული უნდა ჩაიდინოს. პიერი ქურდებს იჭერს. და აი ფილმის დასასრულს იგი ამაყად მოაბიჯებს ქუჩაში მედლით მკერდზე. ახლა უკვე მაყურებელი სულ სხვა პიერს ხედავს. სადღაა მორიდება, ხათრიანი ყმაწვილი, რომელსაც თითქოს სცხვენოდა თავისი ახალი პროფესიისა და რომელსაც მეგობრებიც კი დასცინოდნენ. პიერს ახლა უკვე მოწიწებით ესალმებიან და სიყვარულით შეჰყურებენ. პიერი გმირია. რისთვის იყო ეს საჭირო? იმისათვის, რომ კომედიის გმირი ბოლომდე არ დარჩეს კომედიის გმირად? რომ დარბაზის დატოვებისას მაყურებელმა პლაკატური აზრი შეიტანოს მილიციის ახალგაზრდა თანამშრომელზე? უცნაური სურვილია, რაც მარტო ამ ფილმს კი არა, ბევრ ჩვენს კინოკომედიას ახასიათებს.

ამ უკანასკნელ აზრს ჩვენ ფილმის პრობლემატიკის საკითხის გარკვევამდე მივყავართ. კინოკომედიის პრობლემატიკაზე დღეს ბევრს დავობენ, მაგრამ არ დავობენ იმ შემთხვევებზე, რომ ჩვენს ცხოვრებაში არ არსებობს მოვლენა, რომელსაც არ შეიძლება შეეხოს იუმორისტი. ზოგის აზრით ცხოვრება გაყოფილია სატირულად და სერიოზულად. ამიტომაც მრავალ კინოკომედიას ეტყობა ერთგვარი მორიდება, მოკრძალებული დამოკიდებულება „დიდი მატერიებისადმი". აქ საქმე გვაქვს სატირისა და იუმორის ნიველირებასთან. რა არის ამ ფილმის ძირითადი იდეა? ის ხომ არა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა პროფესია სასახელოა და საამაყო? მაგრამ ეს პრობლემა დგას ამჟამად ჩვენი ხელოვნების წინაშე? ან საკმარისია იგი კინოკომედიის პრობლემატიკად?

ამის შემდეგ არ შევუდგებით ცალკეული სცენების განხილვას. აღვნიშნავთ, მხოლოდ კრივის დარბაზში მომხდარი ეპიზოდის სრულ უმწეობას და ულოგიკობას.

ორიოდე სიტყვა დიალოგების შესახებ. ფილმის დიალოგი, მცირე გამონაკლისის გარდა, ლიტერატურულად დაუმუშავებელია. ხშირ შემთხვევაში იგი რუსულიდან ცუდად ნათარგმნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფილმში არის საკმაო მასალა, რაც მისი ავტორების სასარგებლოდ გველაპარაკება. ეს ფილმის რეჟისურას შეეხება. ზოგიერთებში კომიკურის საინტერესო ცდები. [illegible] რეჟისორად. ა. კვანტალიანის, ა. ქორქიოლიანის და ი. ხვიჩიას სცენები კი ფილმის საუკეთესო დეტალებს წარმოადგენენ.

მაყურებელს ამახსოვრდება ც. თაყაიშვილის (ლიზა დეიდა), ლ. ყორღოლიანის (თინა), ლ. მესხის (ნანი) და ჯ. ამაღლობელის (რ. ტაბიძე) მიერ შექმნილი პერსონაჟები.

კარგად უმუშავიათ ოპერატორებს ა. მასურაძეს და ი. ფუდნიეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სურათის მუსიკა (კომპოზიტორი ნ. ვაჩაძე). ფილმის მუსიკალური ენა ლაღი და მელოდიურია.

ᲠᲔᲖᲝ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ამ დღეებში თელავის მასწავლებლის სახლში მოეწყო მკითხველთა შეხვედრა მწერალ ელიზბარ ზედგენიძესთან. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ, დოცენტმა თ. ჩიკვაიძემ თავის მოხსენებაში დაწვრილებით განიხილა მწერლის ახალი რომანი — „გაზაფხული დაიწყო ადრე".

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს დოცენტმა ა. გურგენიძემ, სტუდენტებმა ვ. არაბულმა, ნ. ჩუბინიანიშვილმა, გ. ჯავახიშვილმა, მასწავლებლებმა შ. კველიშვილმა, ქ. ხმიადაშვილმა, ვ. ყურმიტაშვილმა და მწერალმა ი. წულუკიძემ. ეს იყო საქმიანი და სერიოზული საუბარი მწერლის ნაწარმოებზე.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ელიზბარ ზედგენიძემ, რომელმაც დამსწრეებს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისა და საქმიანი შენიშვნებისათვის.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲥᲐᲕᲐ

ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

«ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ»

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ თეატრალური სეზონი ძალაში შევიდა, მზადდება ახალი სპექტაკლები, ახლოვდება პრემიერის მღელვარე საათები და განცდები. ამ დღეებში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართება სეზონის პირველი პრემიერა — გ. ხუხაშვილის „მთაწმინდის მთვარე".

სპექტაკლს დგამს ახალგაზრდა რეჟისორი მ. კუჭუხიძე.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ეწვია კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს და ესაუბრა სპექტაკლის დამდგმელ-რეჟისორს მ. კუჭუხიძეს.

— გ. ხუხაშვილის პიესამ „მთაწმინდის მთვარე" თავიდანვე დამაინტერესა, პიესაში კარგადაა გამოკვეთილი ხასიათები, ნათელია კონფლიქტები. ჩვენს ახალგაზრდობას დღეს ბევრი ნაწარმოები ეძღვნება, და მე მგონია, ეს სპექტაკლი ერთ-ერთი საინტერესო იქნება მათ შორის. სპექტაკლის მთავარი აზრი ისაა, რომ ადამიანები მუდამ ფხიზლად უნდა ეკიდონ ერთმანეთს, რომ ადამიანებმა არ დაივიწყონ ერთი დიდი ჭეშმარიტება — ემსახურო სიკეთეს, და გახსოვდეს, რომ შეიძლება შენს გაუთვალისწინებელ, დაუფიქრებელ ნაბიჯს მეორე ადამიანის სულიერი დრამა მოჰყვეს. დაახლოებით ამ საკითხების ირგვლივ იშლება პიესის სიუჟეტი. ჩვენ ვცდილობთ გვერდი არ ავუაროთ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების მწვავე პრობლემებს. ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ მაყურებლებს ახალგაზრდობის შეუფერადებელი, შეულამაზებელი ცხოვრება, ახალგაზრდობისა, რომელსაც ძლიერ უყვარს, განიცდის, დიდი იდეები ამოძრავებს, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთს თავი ვერ დაუღწევია ეგოიზმისათვის და პირადულს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს.

კმაყოფილი ვარ კომპოზიტორისა და მხატვრის ნამუშევრით, სპექტაკლისათვის კარგი სიმღერები და მუსიკალური არანჟირება შექმნა ჩვენმა ცნობილმა კომპოზიტორმა გ. ცაბაძემ. კარგი გაფორმება და ფერები შეარჩია ახალგაზრდა მხატვარმა თ. სუმბათაშვილმა.

სპექტაკლი მთლიანად ახალგაზრდულია. იმედი მაქვს „მთაწმინდის მთვარეში" ჩვენი მაყურებელი მოწმე გახდება იმისა, თუ როგორ იზრდება შემოქმედებითად ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობა. როლებში ნახავთ მ. გორგილაძეს, რ. ჭელიძეს, მ. ბიბილეიშვილს, ნ. მგალობლიშვილს, ს. გოგიჩაიშვილს, გ. ბერიკაშვილს, მ. სიხარულიძეს და სხვებს.

ვერაფერს ვიტყვი სპექტაკლის რეჟისორულ ნამუშევარზე. მას მაყურებელი განსჯის, ეს კია, რომ ჩვენ მონდომებითა და ენერგიით ვიმუშავეთ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სპექტაკლ „მთაწმინდის მთვარის" რეპეტიცია. რეჟისორი მ. კუჭუხიძე (მარჯვნივ) რჩევას აძლევს მსახიობებს მ. ბიბილეიშვილს და მ. გორგილაძეს.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲙᲝᲡᲗᲐ სექციის მორიგმა სხდომამ განიხილა აკაკი გეწაძის მოთხრობა „მხოლოდ ერთი ნაბიჯი". სხდომა გახსნა სექციის ბიუროს თავმჯდომარემ სერგო კლდიაშვილმა. მოხსენება წაიკითხა დემნა შენგელაიამ.

— უკანასკნელ წლებში ქართულ მწერლობას ნიჭიერი თაობა შემოემატა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პროზაში, — თქვა ორატორმა. — საინტერესო და საყურადღებოა აკაკი გეწაძის მოთხრობა „მხოლოდ ერთი ნაბიჯი", რომელიც „მნათობში" გამოქვეყნდა. მწერალმა ახლებურად დაინახა ადამიანთა ურთიერთობა და თავისებურად გაიაზრა და გადაწყვიტა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი ნაბიჯის პრობლემა. მთავარ გმირს, ჯიბო მერკვილაძეს ცხოვრებაში ყოველთვის აკლდა ერთი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის სითამამე და ამან უკუღმართად წაიყვანა მისი წუთისოფელი — კეთილი ადამიანი გაბოროტდა და შურიანი გახდა. ავტორი კარგად გვიხატავს ორი საწყისის — კეთილისა და ბოროტის ბრძოლას. მოთხრობა ღრმა შინაარსისაა. ავტორი გაურბის ბუნდოვანებას, სადა და გამჭვირვალედ წერს. გმირის მოქმედება, ფიქრი, საუბარი თუ მონოლოგი ყველგან ბუნებრივია და დამაჯერებელი. გეწაძე კარგად იცნობს ცხოვრებას და ძერწავს ხალხურ სახეებს, ოღონდ არა შიშველ ბოროტებას ან სიკეთეს. ჯიბოც და სანდროც ცოცხალი ადამიანები არიან, აქვთ თავიანთი ვნებები, საკუთარი შეხედულებები და ფსიქოლოგია. არსად არ იგრძნობა სიუჟეტური სიყალბე და თხრობის ძალდატანება, ყველაფერი გჯერათ და ემოციებით გვესხებთ. ჰუმანიზმის იდეა ავტორმა ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი მხატვრული დეტალებით გახსნა... იმარჯვებს კეთილი ზნეობის ადამიანი და ამ გამარჯვებას ჩვენც ვზეიმობთ.

მოთხრობა დაწერილია მდიდარი და ძარღვიანი ენით. ნაწარმოებს აქვს მცირე ნაკლიც. მწერალი ნაკლებ ყურადღებას უთმობს პორტრეტის ხატვას. თუმცა ეს არ ამცირებს მოთხრობის სიკეთეს. სამწუხაროა, რომ ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას ხშირად ჩრდილში რჩება ასეთი კარგი ნაწარმოებები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

— მოთხრობამ ჩემზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, — თქვა შალვა აფხაიძემ, — მწერალი დამაჯერებლად და თვალსაჩინოდ გვიხატავს ადამიანის სულს. მოთხრობა უმღერის კეთილ საწყისს. ეს მართლაც მისასალმებელია.

მიხეილ მრევლიშვილის აზრით, გეწაძემ აიღო საინტერესო თემა და სათქმელი, შემდეგ ჩანაფიქრი დაუკავშირა ერთ დინებას და მოთხრობა ამ მტკიცე კომპოზიციით შეკრა. მწერლობაში ყველაზე ძნელია სადად მოჰყვე ამბავს და არ გააუბრალოო იგი. აკაკი გეწაძემ კარგად დაძლია ეს სიძნელე. ის რასაც ავტორი აღწერს, ეტყობა საკუთარი თვალით უნახავს და განუცდია.

სერგო ჭილაიამ თქვა: — სამიოდე წლის წინათ წავიკითხე გეწაძის მოთხრობა „სადგურიდან სადგურამდე" და ვიგრძენი, რომ ნიჭიერი პოეტი პროზაშიც გამოიჩენდა თავს. ის მოთხრობა მე ახლაც მომწონს. სწორი იყო შენგელაიას შენიშვნა: „მხოლოდ ერთი ნაბიჯის" ავტორი ნაკლებ ყურადღებას უთმობს პორტრეტების ხატვას. მაგრამ ესეც ბუნებრივია — გეწაძე უფრო ხასიათის მხატვარია. ცოცხლად გვიხატავს ხალხურ ხასიათებს. ეს კი ყველა შემოქმედისათვის დიდი სიკეთეა.

— გეწაძის პროზაში მოსვლა შემთხვევითი არ არის, — თქვა ლევან გოთუამ. — მე ვიცნობ მშვენიერი ქართულით დაწერილ მის პიესებსა და ნარკვევებს, სადაც ჩანს პოეტის პროზაული ალღო. ახლახან წავიკითხე „მხოლოდ ერთი ნაბიჯი" და ჭეშმარიტად გავიხარე. ეს არის ერთი დიდი შინაგანი მონოლოგი. ავტორს მოდიდებული რიონივით მოაქვს ძალიან ბევრი რამ და, ბუნებრივია, მისი მოთხრობაც აქა-იქ იმ რიონივით მღვრიეა. მხოლოდ ერთი ნაბიჯის პრობლემა არ არის ამ შესანიშნავი მოთხრობის ლეიტმოტივი, იგი მრავალთემიანია. მოთხრობის ცხოვრებისეული ყოფითი დეტალი და საგანი სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მოთხრობა მდიდარია მეტაფორებით.

— აქ საკმაოდ ილაპარაკეს „მხოლოდ ერთი ნაბიჯის" ღირსებაზე. მე ბევრს ვერაფერს დავუმატებ, — განაცხადა რევაზ ჯაფარიძემ, — ა. გეწაძის ადრე გამოქვეყნებული მოთხრობა „სადგურიდან სადგურამდე" თანამედროვე მოთხრობაა ყოველმხრივად — წერის მანერითაც და თემის გააზრებითაც. მე ვიცნობ აგრეთვე გეწაძის ვრცელ მოთხრობას „შვილთ-გოგიას", რომელსაც აქვს თავისი ღირსება.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა აკაკი გეწაძემ. მან მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და განაცხადა, რომ მომავალ მუშაობაში გაითვალისწინებს აქ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს.

* * *

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 30 ნოემბერს მწერალთა კლუბში შედგება მთარგმნელთა სექციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოისმენს შოთა ძიძიგურის მოხსენებას თემაზე: „რუსული სიტყვისა და მისი სახელის ქართული გადმოცემის საკითხი".

დასაწყისი დღის 2 საათზე.

ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ პოლონური ჟურნალი „პომორჟე" ხშირად აქვეყნებს საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშებს. ჟურნალის უკანასკნელ ნომერში, რომელიც ამ დღეებში მოვიდა თბილისში, გამოქვეყნებულია რუსი პოეტების ე. ვინოკუროვის, რ. როჟდესტვენსკის, ბ. ოკუჯავას ლექსები და ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსის გ. სანადირაძის მოთხრობა „ოქროს მერცხალი". თარგმანი ეკუთვნის ქ. ნოვიცკის.

ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲡ

„თბილისური ხუმრობა" — ასე დაარქვეს თბილისის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლთან ახლადშექმნილ საკონცერტო ბრიგადის პროგრამას. ბრიგადამ მსახიობ ოთარ სანდომისაშვილის ხელმძღვანელობით მოიარა ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, მახარაძე, ტყიბული, ცხაკაია და მაყურებლებს წარმოუდგინა ვ. პატარაიას, ნ. დუმბაძის, ნ. ხუნწარიას, ნ. არეშიძის, ლ. ჭუმბარიას სკეტჩები და ფელეტონები. საკონცერტო პროგრამისათვის მუსიკა დაწერეს კომპოზიტორებმა გ. ცაბაძემ, რ. ლაღიძემ და შ. მილორავამ.

მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს ბრიგადის მიერ გამართული კონცერტები. თბილისში დაბრუნებულმა ბრიგადამ თავისი კლუბის სცენაზე გამართა რამდენიმე კონცერტი და ამ დღეებში გორში გაემგზავრა.

ᲜᲔᲚᲘ ᲩᲐᲩᲐᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"

გრიგოლ რჩეულიშვილი — თხზულებანი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მწერლის ერთტომეულში წარმოდგენილია ლექსები, დრამატული პოემა „ხუმრობა", რომანები: „ქვრივის ლიმონები", „ანუკა ბატონიშვილი", „თამარ ბატონიშვილი" და გადმოკეთებული და თარგმნილი ნაწარმოებები. წიგნი გამოიცემა სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. რედაქტორი — გ. ლეონიძე, მხატვარი — თ. ჯიმშელიანი. გვ. 362, ფასი 1 მან. 29 კაპ.

ვახტანგ კოტეტიშვილი — რჩეული ნაწერები. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. მხატვარი — ქ. თავაძე. გვ. 640, ფასი 1 მან. 81 კაპ.

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ"

გუსტავ ფლობერი — სანტიმენტალური აღზრდა. (რომანი), თარგმანი იოსებ ჭუმბაძისა. რედაქტორი — გრ. ჩიქოვანი, მხატვარი — დ. ბაქრაძე. გვ. 480, ფასი 1 მან. 41 კაპ.

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ"



თამაზ ჭილაძე — ვინ ცხოვრობს ვარსკვლავზე? (კრებულში შეტანილია შემდეგი მოთხრობები „ზაფხული", „მკა", „თოვლი", „ქალი", „პირველი დღე" და „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავზე", რომლებშიც ასახულია ჩვენი ახალგაზრდობის მრავალფეროვანი ცხოვრება, ფიქრები და ოცნება, სიყვარული და მეგობრობა. რედაქტორი — ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — დ. ნოდია. გვ. 238, ფასი 35 კაპ.

ლევ ტოლსტოი — ცრუკუპონი (მოთხრობები, თარგმანი — გიორგი შატბერაშვილისა). რედაქტორი — ლ. თურმანიძე, მხატვარი — თ. სამსონაძე. გვ. 42, ფასი 6 კაპ.

ჰერბერტ უელსი — უხილავი კაცი („სათავგადასავლო ბიბლიოთეკის" 13-ე ტომი). თარგმანი — ა. ვასაძისა. რედაქტორი — ც. იერცაძე. გვ. 138, ფასი 68 კაპ.

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ"

გრიგოლ ხერხეულიძე — თანამედროვეობა და პოეზია. რედაქტორი — გ. კაკიაშვილი. გვ. 158, ფასი 61 კაპ.

ᲑᲝᲠᲝᲢᲡᲐ ᲡᲫᲚᲘᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲐ

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ მეცნიერებმა რენტგენის სურათი გადაუღეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წლის წინათ მცხოვრებ ეგვიპტურ მუმიას, რომელიც ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ეგვიპტელ ქალს ჰქონია ხერხემლის ტუბერკულოზი. დღემდე კი ფიქრობდნენ, რომ ძველ ეგვიპტეში ეს სენი არ უნდა ყოფილიყო.

ისტორიული წყაროებით ტუბერკულოზის არსებობა ადამიანთა ყველა მოდგმის, ასაკისა და ეროვნებათა შორის არის დადასტურებული. ტუბერკულოზი განსაკუთრებით მაშინ გავრცელდა, როცა საფუძველი ჩაეყარა კაპიტალისტურ ინდუსტრიას. „ჭლექი და ფილტვის სხვა დაავადებები კაპიტალის არსებობის პირობებია" — წერდა მარქსი. მე-20 საუკუნის დამდეგს ტუბერკულოზის გავრცელებამ მუშათა კლასში და ღარიბ გლეხობაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ბოლშევიკური პრესა („ისკრა", „პრავდა", „ზვეზდა") ამხელდა ფაბრიკა-ქარხნების მუშებში ტუბერკულოზის გავრცელების მიზეზებს.

ამ მძიმე დაავადებაზე წერდნენ ექიმები, ფილოსოფოსები, მწერლები, პოლიტიკური მოღვაწეები. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ჰიპოკრატემ აღწერა ჭლექით დაავადებული ადამიანის გარეგნობა.

ადამიანთა ამ საშინელ დაავადებას მრავალმა მწერალმა მიაქცია ყურადღება. ტუბერკულოზისგან დატანჯული ადამიანების სახეები დაგვიხატეს თ. დოსტოევსკიმ, ი. ტურგენევმა, ლ. ტოლსტოიმ, ა. ჩეხოვმა და სხვ. ჩეხოვი პროფესიით ექიმი იყო და თვითონ ბავშვობიდან ავადმყოფობდა ტუბერკულოზით. თუმცა მაშინ მედიცინა უძლური იყო, მწერალს მაინც სწამდა მეცნიერების მომავალი, ამ საშინელ სენზე მისი გამარჯვება.

ა. ჩეხოვმა თავის რამდენიმე ნაწარმოებში („მახინჯის დღეები", „მასწავლებელი", „მეუღლე", „შავი მონაზონი" და სხვ.) აგვიწერა ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანები და მათი მწუხარე ბედი. ჩეხოვი — ექიმი და ჩეხოვი — მწერალი ერთი მთლიანია. ჩეხოვს იალტაში ყოფნის დროს (1898 წელს) არ შეეძლო გულგრილად ეცქირა კურორტის ცხოვრების მძიმე სურათისათვის. დიდმა მწერალმა 60 წლის წინათ საფუძველი ჩაუყარა ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმს. სამი წლის განმავლობაში ამ სანატორიუმში ორასმა ავადმყოფმა დაჰყო, მაშინ როდესაც რუსეთში ტუბერკულოზისაგან იმ პერიოდში 300.000 ადამიანი კვდებოდა.

ტუბერკულოზით გამოწვეული სულიერი ტკივილი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ხალხურ ლექსებში გვხვდება:

სევდიანი დღე იყო,
ბრწყინვალე მზე ტიროდა,
უბედურსა ჩემს სატრფოს
ჭლექი შეჰპარებოდა,
რადგან ლამაზი იყო
ჭლექსაც შეჰყვარებოდა".

ტუბერკულოზის მძიმე ტკივილები განიცადა ეგნატე ნინოშვილმა. იგი 1894 წლის 12 თებერვალს რიონიდან იაკობ გოგებაშვილს სწერდა: „ჩემი ფიქრით ბევრი-ბევრი ასე ვიცოცხლო ორი-სამი წელიწადი, მაგრამ იქნება სიცოცხლეში ტანჯვა ცოტათი მაინც შემიმსუბუქდეს და ეს არის მიზეზი, რომ ხან სოფელს ვარჩევ საცხოვრებლად, ხან აბასთუმანს და ხან სხვას"... იმავე წელსვე ბათუმში ჩასული მწერალი იძულებული იყო ქუჩაში გაეთია ღამე. „როცა მიტკლის ფერად თეთრ ჩემს „სახე სკელეტს" შეხედავს, გამოგვიცხადებს, მიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მოგაქირავებთ".

ჭოლა ლომთათიძე ბავშვობიდანვე ავადმყოფობდა ტუბერკულოზით. მას ამ სენმა უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე. ასეთივე ბედი გაიზიარა იროდიონ ევდოშვილმა.

ცნობილი ქართველი მწერალი მ. ჯავახიშვილი „ოქროს კბილში" აღწერს ახალგაზრდა ქალიშვილის ტუბერკულოზისაგან მიღებულ სულიერ ტანჯვას. „შენ ცოცხალი ხარ, ქალაქში ცხოვრობ, დადიხარ, ხელფეხი გახსნილი გაქვს, გიყვარს, დიახ, გიყვარს და უყვარხარ, ტკბები, მე უკვე გვამი ვარ აბასთუმნის ხევში ჩარჩენილი, გათავდა ყველაფერი და ყველანი: ჩემი კვნესა, დარდიც, ოცნებაც, შენახული უბიწობაც, დაულევლი წყაროც, შენც, დედაც"— ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო ტუბერკულოზით დაავადებაზე მოგვითხრობს საფო მგელაძის რომანი „ქარიშხლის ფრთებზე".

ეს მძიმე სენი კ. ნადირაძის ადრეული შემოქმედების ერთ-ერთი თემად იქცა. იგი სწერს:

ახლა, როდესაც ყველაფერი ისე
ცხადია,
როგორც ეგ შენი მარტოობა
სასაფლაოზე
(მე მახსოვს, მახსოვს ჩემს ხელებზე
შენი ცრემლები
და შეეძლება გადარჩენის და
სასწაულის).
. . . .
საბრალო ბავშვო, მეოცნებევ
სასწაულებზე,
ისევ გაჰყვები განუკურნელ მძიმე
იარას
და გეტყვი ჩუმად: „სასწაული აღარ
არსებობს".

დიახ, სულ სამიოდე ათეული წლის წინათ სასწაულად ითვლებოდა ტუბერკულოზისაგან ადამიანის გადარჩენა.

ტუბერკულოზის მახვრიალი ხელი მისწვდა ჩვენს ნიჭიერ პოეტს ლადო ასათიანს. მის ლექსებში ღაღადებს ამ სენის შედეგი — მძიმე ტკივილი და რწმენა მასზე ადამიანის გამარჯვებისა. პოეტმა ეპიტაფიასავით დატოვა ლექსი „წარწერა ერთი სამარის ქვაზე".

ჰეი შენ, დიდო მომავლის ლანდო,
ლაჟვარდებიდან რომ იყურები,
ეს ჩემი სენი თუ დაამარცხო,
ამაზრზენი და განუკურნელი, —
ეს ჩემი სენი თუ დაამარცხო
და მოიხადო როგორც სახადი,
ჰეი, შენ, დიდო მომავლის ლანდო,
ერთი თხოვნისთვის ნუ დამზრახავდი.
თუ მეცნიერის გონების ლომმა
უმალ განკურნოს ჭლექით ხნეული, —
მაშინ მომნახე და მომიგონე
სამარადისოდ მიწაქცეული.

მეცნიერის გონების ლომი ჯიუტად და თანმიმდევრულად იბრძოდა ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

1882 წელს კოხმა ტუბერკულოზის ბაცილა აღმოაჩინა. ადვილი იყო ამ ბაცილის მოსპობა სინჯარაში, მაგრამ ორგანიზმში მისი დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა. სტრეპტომიცინის აღმოჩენით (1944 წ.) დაიწყო ტუბერკულოზზე გამარჯვების ბრწყინვალე პერიოდი. კოხის ჩხირები ვერ უძლებს სტრეპტომიცინსა და სხვა თანამედროვე სამკურნალო საშუალებებს.

დამარცხდა უკურნებელი სენი. სინამდვილედ იქცა ის, რაც წარსულში შეუძლებელი იყო. ტუბერკულოზური მენინგიტის სიკვდილიანობის სტატისტიკა ჩვენს ქვეყანაში ასიდან ნოლ პროცენტამდე დავიდა.

თანამედროვეობის ეს უდიდესი მოვლენა მარტო სამედიცინო აღმოჩენების შედეგი კი არ არის, არამედ იმ დიდი სოციალური გარდაქმნებისა, რომელიც მოხდა საბჭოთა ქვეყანაში. დიდია საზოგადოების როლი ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა საერთო სახალხო საქმედ არის ქცეული.

შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხალხი იზეიმებს ტუბერკულოზზე — ადამიანთა ამ ბოროტ მტერზე საბოლოო გამარჯვებას. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

ისტორიას ჰბარდება ტუბერკულოზისგან აღძრული დიდი სულიერი ტკივილები, ასე მკვეთრად რომ აისახა ჩვენს ლიტერატურაში.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ

რედაქტორი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ,
სარედაქციო კოლეგია: Დ. ᲐᲜᲗᲐᲫᲔ, Ხ. ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ, Ა. ᲒᲝᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲒᲣᲠᲔᲨᲘᲫᲔ, Გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ, Ა. ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ, ᲛᲘᲮ. ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, Ბ. ᲟᲦᲔᲜᲢᲘ, ᲔᲠ. ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ს. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, Თ. ᲯᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Უ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ИНДЕКС 66449 ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 3-34-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 3-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12360